

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო წმინდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი**

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

სპეციალობა - საჯარო მმართველობა

თამილა საგინაძე

სახელმწიფო და სკოლა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ
აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

**თემის ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე, მასობრივი კომუნიკაციის
აკადემიური დოქტორი**



ხიჭაური, 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სკოლისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირს, მათ როლს თავისუფალი მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებაში. თემის აქტუალობა დაკავშირებულია თანამედროვე სასკოლო სასწავლო პროცესებთან, სახელმწიფოს მხრიდან მის ჩართულობასა და თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებასთან.

ნაშრომის შედგება სამი თავისგან. პირველ თავში განხილულია: სკოლისა და სახელმწიფოს რაობა, მათი ისტორიული წარსული და სახელმწიფოს ფუნქცია სკოლასთან მიმართებაში, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს სკოლის არსებობასა და განვითარებაში. ის არის ერთადერთი ბერკეტი და ხელშემწყობი ძალა.

მეორე თავი ეძღვნება კანონთან შესაბამისობას სახელმწიფოსა და სკოლის ფუნქციების შესახებ. ამ თავში მოყვანილია ის მუხლები და კანონები, რომლითაც ხელმძღვანელობენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულები. შესწავლილია სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც სასწავლო პროცესში გამოიყენება.

მესამე თავი დაეთმო სოციალურ კვლევას, სადაც გამოიკვეთა საზოგადოების აზრი ჩვენ მიერ დასმულ კითხვებთან მიმართებაში. აქვე განხილულია კვლევის ანალიზი, თუ რას ფიქრობს რესპონდენტთა უმრავლესობა სკოლასა და საზოგადოებაზე. ცხადია, ამ ყელაფერმა უნდა შექმნას ჯანსაღი მომავალი.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ვსაუბრობთ გამოკვეთილ პრობლემებსა და მათივე გადაჭრის გზებზე.

კვლევის მიზანია საზოგადოება გაეცნოს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და სკოლის ურთიერთთანამშრომლობა განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საზოგადოების ჩართულობა საგანმანათლებლო სივრცეში.

კვლევის ინოვაცია მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო და სკოლა, როგორც ერთიანი სისტემა საქართველოში ნაკლებად არის შესწავლილი, ხოლო ეს შესაძლებელია არსებული ვითარების სიღრმისეული ანალიზითა და დაკვირვებით.

Annotation

The research paper is dedicated to the relationship between school and state, their role in forming a free-minded person. The topic's actuality is connected with modern school educational processes, how the state is engaged in these processes and formation of a modern person.

The paper comprises three chapters. In the first chapter; we discussed the role of school and state, their historical past and the state functions in relation to the school, how important is the state in the state existence and development of the school. The state is the only lever and supportive force.

The second chapter is dedicated to compliance with the law in the functions of the school and state. This chapter contains the articles and laws used by general educational institution. Different documents have studied, which are used in the educational process.

The third chapter is dedicated to social research, where the public opinion was expressed towards our questions. The survey also analyzes what the majority of respondents think about the school and the state. Obviously, all of this should create a healthy future.

At the end of the work we talk about major problems and the ways of solving.

The purpose of this research paper is to get familiar with the society, how important is cooperation between school and state in order to improve the degree of education. The main task was the involvement of the public in the educational process.

The novelty of the research is that the state and school as a unified system are less studied in Georgia, and it is possible through an observation and in-depth analysis of the current situation.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი 1. განათლების როლი სახელმწიფოს მშენებლობაში.....	8
1.1 რა არის სახელმწიფო.....	8
1.2 რა არის სკოლა.....	13
1.3 სახელმწიფო და სკოლა(ისტორიული წარსული).....	17
1.4 სახელმწიფოს ფუნქციური არსი სკოლასთან მიმართებაში.....	22
თავი 2. პრობლემის კანონთან შესაბამისობა.....	28
2.1 მოქმედი კონსტიტუციიდან შესაბამისი თავებისა და მუხლების დამუშავება- მიმოხილვა-ანალიზი.....	28
2.2 სახელმწიფოსა და სკოლის როლი პიროვნების ფორმირებაში(კანონთან შესაბამისობა).....	36
2.3 ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმის ზოგიერთი ასპექტი (საატესტატო გამოცდების გაუქმება).....	39
თავი 3. სოციალური კვლევა.....	49

3.1 სოციალური კვლევის შედეგები.....	49
3.2 კვლევის ანალიზი.....	59
დასკვნა.....	62
დანართი.....	63
გამოყენებული ლიტერატურა.....	90

შესავალი

სახელმწიფო და სკოლა, მათი ურთიერთმიმართების ფუნქციური თავისებურებანი თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხთაგანია. საგანმანათლებლო სისტემა, მასთან დაკავშირებული რეფორმები და შედეგები, არ არსებობს ძლიერი სკოლისა და ძლიერი სახელმწიფოს ჯანსაღი ურთიერთობების გარეშე. ამ სისტემათა შორის ეფექტური კომუნიკაცია განსაზღვრავს ერთობლივ სამოქმედო გეგმებს ისევ და ისევ კონკურენტუნარიანი მომავალი თაობისათვის, რაც ხვალინდელი სახელმწიფოს მშენებლობის საწინდარია.

დღეისათვის სახელმწიფოს ძლიერებისა და განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენს განათლება წარმოადგენს. ეს ის საკითხია, რომელსაც მხარს ვერ აუვლის ვერცერთი ჩვენგანი და რომლის გარეშეც, საზოგადოება დაემსგავსება უმისამართო ცხვრის ფარას. განათლების მიღება იწყება უშუალოდ სკოლიდან, რომელიც დაქვემდებარებულია სახელმწიფოზე. სკოლა ის ამოსავალი წერტილია თითოეული ჩვენგანისთვის, საიდანაც იწყება საზოგადოებასთან ურთიერთობა, იდეების გაზიარება და ყველაზე მთავარი - აქტიური ჩართულობა ამ საზოგადოებაში, ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის. სკოლა მომავალი სახელმწიფოა, მისი მთავარი

ამოცანა ალბარდოს ისეთი მოქალაქეები, რომლებიც იქნებიან დიპლომატები, მოაზროვნეები, ლიდერები და პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ადამიანები.

ალბათ ყველა დაეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სკოლა სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია. სკოლას აქვს მისია, ხედვა და სტრატეგია, რომელსაც განსაზღვრავს სახელმწიფო. ცხადია, სახელმწიფო რეფორმები უმნიშვნელოვანეს როლს სასკოლო საქმიანობაში. ამ ნაშრომში შევეცადეთ ვრცლად აღგვეჩინა, კერძოდ რა ფუნქციები და მოვალეობები აკისრია თითოეულ მათგანს და რა კავშირშია სკოლა და სახელმწიფო ერთმანეთთან, როგორც განათლების მიღების მნიშვნელოვანი ასპექტი.

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა: გაიზარდა მოთხოვნილება საზოგადოებისა, რომ ქვეყანაში არსებული განათლების დონე უტოლდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ ყველაფერს კი სწორად გატარებული რეფორმები უზრუნველყოფს. ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს თანამედროვე პროცესები, თაობათა დამოკიდებულება, სახელმწიფო ინსტიტუტები და მათი შეხედულებები რიგი საკითხებისადმი, გატარებული რეფორმები, მასთან დაკავშირებული ქმედითუნარიანი ნაბიჯები და სხვ. უკანასკნელ პერიოდში ერთ-ერთი გახმაურებული მოვლენაა საატესტატო გამოცდების გაუქმება. აღნიშნულ რეფორმასთან მიმართებაში ხულოს რაიონის რამდენიმე საჯარო სკოლაში ჩავატარეთ შესაბამისი კვლევა, რომლის ანალიზსაც თემის ძირითად ნაწილში ვთავაზობთ.

კვლევის მიზანი გამომდინარეობს საკვლევი თემის აქტუალობიდან. ჩვენი მიზანია ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, ხოლო მათ აზრზე დაყრდნობით მოვიფიქროთ ის შესაძლო ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაიდგას სახელმწიფოს მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების აზრზე დაყრდნობით აქამდე არ გატარებულა ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც დაინერგებოდა სასწავლო პროცესში. აუცილებელია ამ მიმართებით გადაიდგას სერიოზული ნაბიჯები, რათა შეიქმნას საფუძველი არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და შეიქმნას ისეთი განათლების სისტემის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სამომავლოდ

ხარისხიან განათლებას. ამავდროულად, ცალსახადაა მნიშვნელოვანი მაღალმთიანელთა შეხედულებებიც.

კვლევის მეთოდოლოგია: მასალის შეგროვების მეთოდი; აღწერითი მეთოდი; ისტორიული ანალიზი; რეფორმების მიმოხილვა-შეჯამება და ანალიზი.

კვლევის ობიექტი: სახელმწიფო და სკოლა

კვლევა ეფუძნება შემდეგ შრომებს: (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ); (ზ. ქიტიაშვილი ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში /1991-2013 წლები/); (ლ. მაჩაიძე, მ.მოლოდინაშვილი პედაგოგიკა - აღზრდის მეცნიერება); (ი.ბასილაძე განათლება და აღზრდის იდეოლოგია ქვეყნის განვითარების გარანტი).

ნაშრომის **თეორიული** მნიშვნელობა გამომდინარეობს როგორც კვლევის მეთოდოლოგიიდან, ასევე მიზნებიდან, რომელსაც კვლევა ეყრდნობა. კვლევა მნიშვნელოვანი იქნება განათლების სისტემაში გასატარებელი რეფორმებისათვის. რაც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ სახელმწიფოსა და სკოლას შორის არსებული როლი და პასუხისმგებლობა რეფორმების თვალსაზრისით.

ნაშრომის **პრაქტიკული** მნიშვნელობა შესაძლებლობას იძლევა კვლევისას მიღებული შედეგები პრაქტიკაში გამოვიყენოთ. გარდა ამისა, აღნიშნული კვლევის მეთოდები ხელს შეუწყობს რეფორმების პროცესს, ეს კი საშუალებას მოგვცემს დავხვეწოთ განათლების სისტემა, რათა ხელი შევუწყოთ მომავალ თაობას სასურველი შედეგის მისაღებად.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ქვეთავების და ზოგადი დასკვნისგან. ნაშრომი მოიცავს სოციალურ კვლევას. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი, რაც ცხადყოფს ჩვენ მიერ ჩატარებულ სოციალურ კვლევას.

თავი 1. განათლების როლი სახელმწიფოს მშენებლობაში

„ქვეყნის მყოფადი დამოკიდებულება იმ მდგომარეობაზე, რომელსაც მისცემს ახალ თაობას“.

ილია ჭავჭავაძე

1.1 რა არის სახელმწიფო

სახელმწიფო პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც დამოუკიდებელ იურისდიქციას ავრცელებს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში და ხელისუფლებას მუდმივმოქმედი ინსტიტუციების მეშვეობით ახორციელებს. ეს დანესებულებები საჯაროა, სწორედ ისინი აგებენ პასუხს საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიურ ორგანიზებაზე და საზოგადოების მიერვე ფინანსდებიან.

სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდება მმართველობის ფორმებით და ტერიტორიული მოწყობით. სახელმწიფო მმართველობის მიხედვით შეიძლება იყოს მონარქიული, რესპუბლიკური, ოლიგარქიული, დიქტატორული და თეოკრატიული.

- მონარქიული მმართველობისას უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ერთ პირს - მონარქს, რომელიც თავისი ნებით მართავს ხელისუფლებას. მონარქიული მართველობა იყოფა შეუზღუდავ და შეზღუდულ მონარქიად, რაც გულისხმობს აბსოლუტურ, კონსტიტუციურ დუალისტურ და არჩევით მონარქიას.
- ოლიგარქიული მმართველობის დროს მართვის სადავეები ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელშია, რომლებიც გამოირჩევიან საზოგადოებისაგან სიმდიდრით წოდებით თუ სხვა ნიშნით;
- დიქტატორული მმართველობა გულისხმობს ისეთ მმართველობას, რომლის დროსაც ხელისუფლების სათავეში არადემოკრატიული გზით მოსული ლიდერი დგას. შესაძლებელია იგი კანონიერი გზით მოვიდეს ხელისუფლებაში, მაგრამ გახდეს დიქტატორი;
- თეოკრატიულ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება ემყარება რელიგიურ წესებსა და კანონებს და მმართველობა ხორციელდება რელიგიური პრინციპების მიხედვით;
- რესპუბლიკური მმართველობა სრულიად განსხვავდება მონარქიული მმართველობისგან, ამ შემთხვევაში კანონებს ქმნიან და აღასრულებენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები. განასხვავებენ საპარლამენტო საპრეზიდენტო და შერეული მმართველობის რესპუბლიკას.

რესპუბლიკური მმართველობის ხელისუფლება დაყოფილია აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად. მსგავსი დაყოფის მიზანია სახელმწიფო ბალანსის მიღწევა და კონტროლის მექანიზმების შემუშავება. თითოეულ ხელისუფლებას გააჩნია მისი ფუნქციები:

აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს პრეზიდენტი და მთავრობა. საქართველოში პრეზიდენტის მონაწილეობა აღმასრულებელი ხელისუფლების

განხორციელებაში მინიმალურია და ის უმეტესწილად მთავრობის მიერ ხორციელდება, რომლის მეთაური პრემიერ მინისტრია. მრემიერ მინისტრსა და მთავრობას ნდობას უცხადებს საქართველოს პარლამენტი, რის შემდეგ პრემიერ-მინისტრს ნიშნავს პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი კი მთავრობის სხვა წარმომადგენლებს. საქართველოს პრეზიდენტი ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით.

საკანონმდებლო ხელისუფლების ძირითადი ფუნქციები არის შემდეგი: ესაა წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო, მაკონტროლებელი და პოლიტიკის განმსაზღვრელი. საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტის წევრების არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების მეშვეობით, 4 წლის ვადით.

სასამართლო ხელისუფლებას რაც შეეხება; მას ახორციელებს მხოლოდ სასამართლოები, ისინი დამოუკიდებელია სხვა შტოებისაგან, იცავს კანონმდებლობას, მათ შორის კონსტიტუციის ნორმებს, ზედამხედველობს და აკონტროლებს აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. [ინტერნეტ-წყარო 10, 1]

სახელმწიფოს ცნება უშუალოდ კავშირშია მმართველობასთან. სახელმწიფო მართვა ფართო გაგებით გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო განხორციელებას - პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღებას და მათ რეალიზაციას, საზოგადოებაში სამართლიანობასა და კანონიერების დაცვაზე კონტროლს. მისი მართვის ბუნება გამომდინარეობს მისი სოციალური ფუნქციიდან. ის აწესრიგებს იმ პროცესებს, რომლებიც შეესაბამება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს,

საჭიროებებსა და საქმიანობის სფეროებს. სახელმწიფო მართვის მასშტაბებს აქვს საზღვრები, რომლებიც განისაზღვრება მართვის ობიექტების ხასიათით, ადამიანის ბუნებრივი უფლებებით, საზოგადოების ბუნებრივი თვითრეგულირების ობიექტური აუცილებლობით, საზოგადოების რეალური შესაძლებლობებით, სახელმწიფო მართვის სისტემის განვითარების დონითა და შესაძლებლობებით.

სახელმწიფო მმართველის კომპეტენციის ფარგლებში შედის ისეთი საკითხები, როგორცაა თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები, ჯანმრთელობის და სოციალური კეთილდღეობის, გარემოს დაცვის, საგადასახადო და ფისკალური ადმინისტრაციის, ადამიანური რესურსების მართვა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხი.

სახელმწიფო ზრუნავს ეკონომიკურ განვითარებაზე და ამ მხრივ აუცილებელია განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. ამიტომაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი განათლების სფეროში. ქვეყანაში ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ზოგადი განათლების სისტემას და სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. „ზოგადი განათლების სისტემა - ეროვნული და სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას“. [14, 3]

საქართველოში განათლების სისტემის მართვის სახელმწიფო ორგანოებია: პარლამენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები და რესურსცენტრები. მათგან განათლების დარგის სახელმწიფოებრივი მართვის ცენტრალური ორგანოა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე განათლების დარგის მდგომარეობისა და მისი განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განხორციელებაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქციაა შესაბამისი საგანმანათლებლო კანონმდებლობის წესებისა და დებულებების შემუშავება და მათ განხორციელებაზე კონტროლი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეხმარება რეგიონული მართვის

ორგანოები, რომელთა კომპეტენცია, უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია კანონის საფუძველზე. ისინი ფუნქციონირებენ, როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურული ერთეულები და საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარების საქმეში ექვემდებარებიან ქვეყნის განათლების სამინისტროს, ხოლო ორგანიზაციული მუშაობის სფეროში კი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. განათლების მართვის სისტემის სახელმწიფო ორგანოების პარალელურად ფუნქციონირებენ საზოგადოებრივი სტრუქტურები [18, 6].

„საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა“ [14, 6].

მაშასადამე, სახელმწიფო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩართულია ყველა იმ ძირითად სფეროში, რაც კავშირშია სოციუმთან. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო განხილული განათლების ჭრილში არის ყავარჯენი, რომელსაც ეყრდნობა სკოლა. ეს არის საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე კრიტერიუმებსა და დოგმებზე აგებული სისტემა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი თითოეული ინდივიდის მოთხოვნილებასა და საჭიროებას. ასევე მას ეკისრება პასუხისმგებლობა მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობებზე. სახელმწიფო არის ანარეკლი თავისი საზოგადოების სარკისა.

1.2 რა არის სკოლა

სკოლის შესახებ სხვადასხვა (რამდენიმე) შეხედულება აქვთ, როგორც სკოლის მოსწავლეებს ასევე მწერლებს თუ სხვა გამოჩენილ ადამიანებს: „სკოლა ცოდნის ტაძარია, სადაც თითოეული ჩვენგანი მოკრძალებით, მონივნებითა და პატივისცემით შევდივართ. ის ცოცხალი ორგანიზმებია, წლების განმავლობაში იზრდება, ვითარდება და იხვეწება. მის კედლებში არაერთი ღირსეული თაობა აღზრდილა და იზრდება“ ინტერნეტ-წყარო 15,1]. „სკოლა არ არის მხოლოდ ქიმიისა და მათემატიკის სასწავლებელი ადგილი, ეგეც მნიშვნელოვანია, თუმცა სკოლა არის ადგილი, სადაც ადამიანი სხვებთან და საკუთარ თავთან ურთიერთობა უნდა ისწავლოს“ [ინტერნეტ-წყარო 1,1] „სკოლა ერის მომავალს თვალს აუხელს, გულის ყურს გაუჩარხავს, გრძნობებს კეთილად მოურთავს, მათ ჭკუა-გონებას მართლმსაჯულებას შეაჩვევს, ერთი სიტყვით სკოლა ერს გონებითა და გულით გაღვიძებულ კაცს უმზადებს“ [19,1]

ამ და სხვა მრავალი განმარტების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა ესაა საჯარო ან კერძო დაწესებულება, სადაც მოსწავლეები სწავლობენ მასწავლებლისგან, იძენენ ცოდნას, უნარ-ჩვევებს და ღირებულებებს, რომლებიც დაეხმარება მათ პიროვნების ჩამოყალიბებაში. „სკოლა შეიძლება აღნიშნავდეს საშუალო სკოლას, ასევე რაიმე სპეციალიზირებულ სასწავლო დაწესებულებას ან უმაღლესი სასწავლებელს“ [ინტერნეტ-წყარო 3,1].

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა ესაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც“ [14,3].

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას დაუღალავი შრომა სჭირდება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან. ამასთან დაკავშირებით არსებობს მკაფიო მოსაზრება, რომ „ნებისმიერი საზოგადოება მისი წევრების გარეშე წარმოუდგენელია და არც მოიაზრება. ამიტომ, როდესაც მომავალი თავისუფალი სამოქალაქო

საზოგადოების მშენებლობაზე ვსაუბრობთ, პირველ ყოვლისა, ამ საზოგადოებისთვის სათანადოდ მომზადებული და ინფორმაციული, ღირსეული მოქალაქეების აღზრდას ვგულისხმობთ“, – „პიროვნების ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია და ის ადრეულ ასაკში უნდა დაიწყოს. სკოლა კი ის ადგილია, სადაც ეს პროცესი შიძლება თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად წარიმართოს. სკოლის კედლებში ბავშვმა უნდა მიიღოს არამართო სათანადო ინფორმაცია შეიძინოს ცოდნა, არამედ მან უნდა აითვისოს ის საციცოცხლო უნარ-ჩვევებიც, რომლებიც ამ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ასწავლის“ [15,1].

სკოლა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარებას არამართო გონებრივი შესაძლებლობებით, არამედ ფიზიკური აღზრდის კუთხით. სწორედ ფიზიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად ასწავლიდნენ თუნდაც ადრეულ პერიოდში იმისათვის, რომ სახელმწიფოში ყოფილიყვნენ ძლიერი და მებრძოლი ჯარისკაცები, რაინდები.

სკოლაში ბავშვები ეცნობიან გარესამყაროს, იძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს რაც მათ საზოგადოებასთან ურთიერთობაში დაეხმარებათ. სკოლა მათთვის წარმოადგენს მეორე ოჯახს, სადაც აღმზრდელებად პედაგოგები მოიაზრებიან.

სკოლა ეს ის ადგილია, სადაც შესაძლებელია სრული ზოგადი განათლების მიღება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. „საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს 3 საფეხური: დაწყებითი განათლების საფეხური (6 წელი), საბაზო განათლების საფეხური (3 წელი) საშუალო განათლების საფეხური (3 წელი). [14,1] „სკოლას სახელმწიფო მართავს განათლების სამინისტროს მეშვეობით. იგი როგორც წესი აფინანსებს განათლების სისტემას, უდგენს განათლების შინაარსს, სისტემურად აკონტროლებს და პერიოდულად ამოწმებს სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებათა მუშაობას. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს სკოლის მუშაობის შესამაბისობას სახელმწიფო ინტერესებთან. სკოლის უშუალო

ხელმძღვანელი სკოლის დირექტორია, რომელიც მთლიანად ეყრდნობა სკოლის მართვის და ხელმძღვანელობის წინასწარ დადგენილ წესებს“ [18,1].

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი, რომელიც აღწერს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სასურველ შედეგს. ეროვნული სასწავლო გეგმა არის ერთ-ერთი მთავარი საშუალება ამ დოკუმენტის მიერ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამისად, პატრიოტი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, კანონმორჩილი და ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბებას ემსახურება.

სკოლა ერთ-ერთი წინაპირობაა დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. სკოლა წარმოადგენს ისეთ საზოგადოებას, სადაც მოსწავლეები სწავლობენ საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობას. ამას ისინი სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ: დანყებული საკლასო ოთახიდან, სადაც განიხილება საგაკვეთილო თემის დაგეგმვა და დამთავრებული სკოლის დემოკრატიული პრინციპებით მართვაში და აქტივობებით.

სკოლა მოიცავს რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ეს სტრუქტურული ერთეულებია; სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინარული კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში არსებობს სააპელაციო კომიტეტიც. თითოეული სტრუქტურული ერთეული ერთად და ცალკე-ცალკე მუშაობს სკოლის განვითარებაზე, მოსწავლეების განათლების მიღებასა თუ პროფესიული ცოდნის ერთმანეთისთვის გაზიარებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, პიროვნების ჩამოყალიბება ძალზე რთული პროცესია და სკოლამ უნდა შეძლოს ეს ყოველივე, მაგრამ სკოლა ვერ მისცემს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს რაც აუცილებელია, თუკი სკოლაში არ იქნება პედაგოგი, რომელიც იქნება კვალიფიციური და სიღრმისეული ცოდნის მქონე. მასწავლებელი უნდა იყოს არამარტო თავისი ცოდნით გამორჩეული, არამედ ის უნდა იყოს მესაიდუმლე, უნდა ესმოდეს

მოსწავლის მოთხოვნილებანი, უნდა უზრუნოს მის შინაგან სამყაროს სიმშვიდემ. მასწავლებელს უნდა შეეძლოს დაანახოს მოსწავლეებს საგანი არა როგორც „იზოლირებული საგანი“ არამედ ბუნებისა და სამყაროს ურთიერთდაკავშირება ერთ სივრცეში. მასწავლებელზეა დამოკიდებული მოსწავლის სულიერი მდგომარეობა, საგნის სიყვარული, თუ მოტივაციის ამაღლება. ამიტომაც მასწავლებელი მთავარი პერსონაჟია სასკოლო საქმიანობაში.

სკოლაში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამყარებულია ურთიერთკავშირი, მასწავლებლები უზიარებენ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც აუცილებელია ცხოვრებაში გარკვეული ეტაპების გასავლელად, მოსწავლეები ითვისებენ ამ ინფორმაციას და უკუკავშირით აბრუნებენ მას პრაქტიკულ საქმიანობაში. სკოლამ კომუნიკაციის დახმარებით უნდა განუვითაროს მოსწავლეებს როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება, რაც დაეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოების სახელმწიფოს წინაშე საკუთარი მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლა წარმოადგენს საფუძველს ქვეყნის მთლიანობის, ეკონომიკური განვითარებისა თუ მშვიდობიანობის თვალსაზრისით.

სკოლამ უნდა აღუზარდოს სახელმწიფოს ისეთი მოქალაქეები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ თავიანთ კულტურას, ტრადიციას და ყველა იმ ღირებულს რაც აუცილებელია სახელმწიფოს მშენებლობისათვის. სკოლა არის ამოსავალი წერტილი ქვეყნის ეროვნულობის შენარჩუნებისა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სკოლა წარმოადგენს სოციუმისთვის იმ ფენომენს, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობისთვის მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა. ეს არის, ის შეუცვლელი დაწესებულება, რომელიც განაგრძობს საქმიანობას წლების სვლის მიუხედავად. აქედან გამომდინარე, სკოლა თავისი არსით ის საჯარო დაწესებულებაა, რომელიც ყველაზე მეტად ზრუნავს სოციუმში მაღალი სტანდარტების მისაღწევად. სკოლა არის საქმიანობის ის სფერო, რომელშიც ტექნოლოგიამ ადამიანი ვერ ჩაანაცვლა. ეს არის კაპიტალის დაბანდების საუკეთესო არჩევანი, „თუ ერთწლიანი გეგმები გაქვს- ბრინჯი დათესე; თუ ათწლიანი გეგმები გაქვს- ხეები დარგე; ხოლო თუ ასწლიანი გეგმები გაქვს- განათლება მიეცი

ბავშვებს.“(კონფუცი) ასე რომ სკოლა არის საუკუნოვანი გეგმების რეალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო-საფუძველი, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება.

1.3 სახელმწიფო და სკოლა (ისტორიული წარსული)

სწავლა და განათლების მიღება აუცილებელია ყველა დროსა თუ ეპოქაში. ის მნიშვნელოვანია არა თუ პიროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, არამედ სახელმწიფოს განვითარებისათვის.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ თავდაპირველად ბავშვები სწავლობდნენ თავიანთ სახლებში, სადაც მშობლები ბავშვებს უზიარებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას. მშობელი მასწავლებლის როლს ირგებდა, რომლის დანიშნულება იყო იარაღის გამოგონება, საქონლის მოვლა, საკვების დამზადება თუ სხვა.

მოგვიანებით სახელმწიფოების ჩამოყალიბებისას აუცილებელი გახდა სასწავლო დაწესებულებების აშენება და განათლებული ადამიანების საჭიროება, რომელსაც ექნებოდა იმ პერიოდისათვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ჩვ. წ. აღ-მდე სამი ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა პირველი სპეციალიზირებული სასწავლო დაწესებულებები ეგვიპტესა და ბაბილონში, სადაც ასწავლიდნენ მათემატიკას, რელიგიას, მითოლოგიას, წერას ტანვარჯიშსა და მუსიკას.

ანტიკურ ხანაში უკვე გაჩნდა მსხვილი სკოლები. ძველბერძნულ სკოლებში არსებობდა აღზრდის სამი სახეობა: ათენური, სპარტანული და რომაული. თითოეულ სკოლას თავისი წესები ჰქონდა. მაგალითად, სპარტაში სახელმწიფო ბავშვის დაბადებისთანავე აწესებდა მასზე კონტროლს, უპირველეს ყოვლისა, მას უტარდებოდა გასინჯვა - შემოწმება და რაიმე ფიზიკური ნაკლის ან დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ხდებოდა მისი გარიდება ჩაკეტილი სპარტანული საზოგადოებისგან. ხოლო თუ ის სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდებოდა, უბრუნებდნენ ოჯახს, სადაც 7 წლამდე რჩებოდა

და იზრდებოდა მშობელთა და სპეციალურად დაქირავებული ძიძის მეთვალყურეობით. 7 წლიდან კი იწყებოდა სახელმწიფო აღზრდა და 30 წლამდე გრძელდებოდა. სპარტანელი ვაჟები ძალიან მკაცრ პირობებში, საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ. (დობსონი 1932: 10–25). სპარტაში სამხედრო განათლება ისწავლებოდა როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის, მისი მიზანი ფიზიკურად ძლიერი და მამაცი მეომრების აღზრდა იყო;

ათენში განათლების მიღება მხოლოდ ვაჟებს შეეძლოთ. აქ ყველა სკოლა კერძო იყო და მისი მიზანი იდეალური, მორალურად განვითარებული პიროვნების აღზრდა იყო. ათენური განათლება ორ ნაწილად იყო დაყოფილი: გონების წვრთნა (μουσική) და სხეულის წვრთნა (γυμναστική). ათენში ვაჟები სწავლას 7 წლის ასაკში იწყებდნენ. იგი სკოლაში დაჰყავდა ერთგულ მონას. მისი მოვალეობა იყო თვალყურის დევნება ბავშვისთვის მთელი დღის განმავლობაში, მას არ ჰქონდა შეხება სწავლის პროცესთან.

რაც შეეხება ძველ რომს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოს და არა პიროვნულ აღზრდას. აქ საზოგადოების ფენებად დაყოფამ გამოიწვია სკოლების ორ სახეობად ჩამოყალიბება - გრამატიკული სკოლები მაღალი ფენისთვის, სადაც ასწავლიდნენ რიტორიკას, ფილოსოფიას, ბერძნულ და ლათინურ ენებს, ფასიანი სკოლები კი საშუალო ფენისთვის, სადაც ასწავლიდნენ წერას, კითხვას და ანგარიშს. ის ბავშვები, რომლებიც ქვედა ფენას ეკუთვნოდნენ, ეუფლებოდნენ ხელოსნობას, რომელსაც ვაჭრებისა და ხელოსნებისგან სწავლობდნენ.

შუა საუკუნეებში განათლებასა და მის მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა კარლოს დიდმა, მისი იმპერიის ტერიტორიაზე გაიხსნა სკოლები, რომლებიც უმეტესად მონასტრებთან ახლოს მდებარეობდა. მონასტრები ამ პერიოდშიდან გადაიქცნენ განათლების მნიშვნელოვან კერებად. ვინაიდან ფეოდალური არისტოკრატია საომარი საქმით იყო დაკავებული, სასულიერო პირები ზრუნავდნენ ხალხის სულიერებაზე. ამ პერიოდის მონასტრებში თავმოყრილი იყო წიგნები, მუშაობდნენ გადამწერები, თარჯიმნები. ისინი თარგმნიდნენ ძველი ბერძნულიდან ლათინურ ენაზე, ხდებოდა ამ წიგნების გადაწერა და გამრავლება.

ადრეულ შუა საუკუნეებში გამოყოფენ სამი სახის - სარაინდო, სახალხო და რელიგიურ განათლებას. სარაინდო განათლების მიღება გულისხმობდა სამხედრო საქმის შესწავლასა და საზოგადოებაში მოქცევის წესების ცოდნას, რაინდებისთვის არ იყო აუცილებელი წერა-კითხვის სწავლა. აქ ასწავლიდნენ ნადირობას, ცხენოსნობას, ცურვას, თარიკაობას, მშვილდოსნობას, შაშის თამაშს, ლექსების თხზვასა და სიმღერას. ამ პერიოდში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო სახალხო განათლება, რომელიც გამომდინარეობდა ყოველდღიურობიდან. არც სახალხო განათლება საჭიროებდა წერა-კითხვის ცოდნას. უფროსი თაობა უმცროსს გადასცემდა თავის ცოდნას ზეპირმეტყველებით. ხოლო რელიგიური განათლება მოიცავდა წიგნიერ სწავლებას, რომლის დროსაც ემზადებოდნენ

მოგვიანებით სასულიერო სკოლებთან ერთად ჩნდება საერო სკოლებიც, რომლებიც უმეტესწილად დიდ ქალაქებში იხსნებოდა. განათლება და სწავლება შუა საუკუნეების განმავლობაში ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. ამიტომ უცხო ენაზე სწავლება საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის ხელმიუწვდომელი იყო.

რაც შეეხება ქართულ სკოლასა და განათლების განვითარებას უძველეს პერიოდში, მასზე ქართული წყაროები არ მოიპოვება. ბერძენი ისტორიკოსების ჩანაწერები მოწმობს, რომ ანტიკურ საქართველოში გავრცელებული იყო „გიმნასიონები“, თემისტოსის ცნობიდან ჩანს, რომ კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა თავისი შინაარსით ძვ. ბერძნული და რომაული რიტორიკული სკოლებისგან ბევრად არ გასხვავდებოდა.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო ქრისტიანული სწავლა-განათლების მიღებას, სადაც საღმრთო წერილს და ეკლესიის მსახურებას ასწავლიდნენ. თუკი განვიხილავთ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში გავრცელებული უნდა ყოფილიყო შინ სწავლა, რაც ელიტარულ ხასიათს ატარებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისათვის სწავლა 6 ან 7 წლის ასაკიდან იწყებოდა, რაც ასახულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. გრიგოლ ხანძთელს უკავშირდება ტაო-კლარჯეთში შექმნილ სამონასტრო კომპლექსებში

საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვა და ორგანიზება, სადაც ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა და რომელმაც შეიმუშავა საკუთრი გრამატიკა, ენა და მიმართულება.

მონასტრებში გახსნილ „დანყებითი და პრაქტიკული ხასიათის“ სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმრთო წერილს, ლიტურგიას, გალობას, ამზადებენ მღვდლებს, მქადაგებლებს და მოძღვარ-მასწავლებლებს. იმ პირობებშიც, ვიდრე პედაგოგიკისა და დიდაქტიკის პრინციპები ჯერ კიდევ გაუმიჯნავი იყო ერთმანეთისაგან, სწავლა-განათლების სფეროში აშკარა იყო ისეთი წესების გამოყენება, როგორცაა ცოდნის მისაწვდომობის, სწავლის თანმიმდევრობის და სისტემატურობის, ნებისყოფის, ჩამოყალიბების, ცოდნის მტკიცედ დაუფლების ჩვევები (ასათიანი 2008: 126).

XI-XII საუკუნეებში სასწავლო პროცესმა მიიღო მეტ-ნაკლებად მიზანმიმართული სახე, რასაც გელათის აკადემიის შექმნას უკავშირებენ. ამ პერიოდში შეიქმნა უმაღლესი აკადემია იყალთოშიც. მკვლევრების აზრით, ამ პერიოდში განათლებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, მაგრამ სამწუხაროდ მომდევნო საუკუნეში მონღოლების შემოსევებმა უარყოფითად იმოქმედა სკოლასა და განათლებაზე.

XVII საუკუნიდან სწავლა-განათლების სისტემა მოიცავდა როგორც სასულიერო, ასევე საერო განათლებას. უფრო მოგვიანებით კი საქართველოში არსდება უმაღლესი სასწავლებლები, ამ დროიდან სწავლა იღებს სისტემატურ ხასიათს.

განათლების განვითარების მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ჩამოყალიბდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ . ამ საზოგადოების წევრებმა მიზნად დაისახეს ქართული სკოლების გახსნა, და ამ სკოლებზე დახმარების განწევა. საზოგადოებამ სულ 33 სკოლა გახსნა, რაც ერთობ მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდში ქვეყნის განათლების განვითარებისათვის.

მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, სკოლასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას წარმართავს განათლების სამინისტრო, რომელიც ადგენს

წესებსა და კანონებს, რომლითაც ხელმძღვანელობენ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები. დროის ცვლილებასთან ერთად იცვლება სწავლის მხრივ მოთხოვნები, თუკი აღრე სახელმწიფოს ძლიერებას განსაზღვრავდა სამხედრო ძალა და საომარი რესურსების ფლობა, ახლა მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენს სხვადასხვა უნარებით დაჯილდოებული ადამიანები. უპირველეს ყოვლისა ამ უნარებში მოიაზრება თავისუფალი, დამოუკიდებელი, მოაზროვნე და პატრიოტული ნიჭის განვითარება. სწორედ ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს სკოლა და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ამრიგად, სკოლა თავისი არსით მჭიდრო კავშირშია ისტორიასთან. ზემოთ განხილულ არაერთ მაგალითში იკვეთება მისი მთავარი ფუნქცია და ამოცანები. წლების სვლასთან ერთად მკაფიოდ ჩანს წინგადადგმული ნაბიჯები. შედეგად კი ისტორიულმა წარსულმა დააგროვა გამოცდილება, რომელიც ახლის შენების საძირკველია. ცხადია, ქვეყნის ძლიერება ძლიერი სკოლის საწინდარია და პირიქით.

1.4 სახელმწიფოს ფუნქციური არსი სკოლასთან მიმართებაში

სკოლის არსებობაში, მის განვითარებასა და მართვაში უდიდესი როლი აკისრია სახელმწიფოს.

სახელმწიფო ასრულებს დამკვეთის როლს სკოლასთან მიმართებაში. ის უდგენს წესებს და კანონებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სკოლამ, აღზარდოს მოქალაქეები, რომლებიც საჭიროა სახელმწიფოსთვის, მისი ძლიერებისთვის, ეკონომიკური განვითარებისთვის.

თუკი ისტორიას გადავხედავთ, აღრეული პერიოდიდან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოს სკოლასა და განათლების მიღებაზე. ჯერ კიდევ ანტიკური

პერიოდიდან სახელმწიფო აკონტროლებს სკოლას და ახორციელებს მის მართვას. სახელმწიფოს მიზანია ისეთი მოქალაქეები აღზარდოს სკოლამ, რომელიც დაეხმარება ქვეყნის გაძლიერებაში, დაიცავს გარეშე მტრებისგან. როგორც ვიცით, სახელმწიფო უძველესი პერიოდიდან განსაზღვრავს ბავშვის დაბადებისთანავე სწავლების დაწყებას, მომავალი მეზობლების აღსაზრდელად. სახელმწიფო იმ დროისათვის მოითხოვდა, რომ ბავშვებს ესწავლათ წერა-კითხვა, სკოლები კი კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველას შეეძლო სკოლის გახსნა, მასწავლებლის პროფესია არც ისე დაფასებული იყო. დროთა განმავლობაში შეიცვალა სწავლის მიმართ დამოკიდებულება და გაჩნდა საჯარო სკოლები, რომლის ფუნქციონირება სახელმწიფოს ევალებოდა. დღეისათვის არსებობს როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლები, რომლის მართვაში სახელმწიფოს მთავარი ადგილი უკავია. სახელმწიფო განსაზღვრავს საჯარო სკოლის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს, მის კომპეტენციაშია ასევე მიიღებს თუ არა სკოლა აკრედიტაცია/ავტორიზაციას, განსაზღვრავს პირველ კლასში მისვლის ასაკს, უდგენს დასვენების დღეების განრიგს და მისთ.

სახელმწიფოს ფუნქციაა უზრუნველყოს სკოლა ფინანსურად. სკოლისთვის გამოყოს ტერიტორია, სადაც იქნება სკოლის შენობა, ეზო თუ მოედანი. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სკოლის ინვენტარიზაციაზე, ჰქონდეს ყველა რესურსი განათლების მისაღებად. სკოლა უნდა იყოს უზრუნველყოფილი თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული მერხით, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ბიბლიოთეკით, სახელმძღვანელოებით და სხვ. ამ ყველაფერზე კი ზრუნავს და აწესრიგებს სახელმწიფო განათლების სამინისტროსთან ერთად.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სკოლის უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ განლაგებაზე. სკოლა უნდა იყოს დაცული ყოველგვარი საფრთხისაგან, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ისეთი ინვენტარის მინოდებაზე, რომელიც არ იქნება ფიზიკურად საშიანო ბავშვებისთვის, სკოლა უნდა იყოს მობილიზებული ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებებისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა

ბოლო პერიოდში. ამავე აზრს იზიარებს დოკუმენტი „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“, სადაც ნათქვამია, რომ „თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან თავისუფალი გარემოს შექმნის მიზნით, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო მომსახურებას, პრევენციული აქტივობების განხორციელებას“. ამავდროულად, საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ წარმოდგენილია „ზოგადი რეკომენდაციები და მოთხოვნები“, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მოსწავლეების ჯამრთელობის მდგომარეობაზე. რადგანაც ბავშვის სწავლის ხარისხს განაპირობებს ის ფაქტორი თუ რამდენად ჯანსაღ გარემოშია იგი, რამდენად სწორად იკვებება და აქვს თუ არა მის ოჯახს დრო ბავშვზე ზრუნვისა და კონტროლის განწევს. დღეის მდგომარეობით მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს დრო ბავშვისათვის, რადგან იგი მუშაობს, ცდილობს მიიღოს მინიმალური შემოსავალი თავის სარჩენად. ამ დროს ბავშვი იზრდება ოჯახის ყურადღების გარეშე, არაჯანსაღი კვებით, შესაძლოა არაჯანსაღ გარემოში (ქუჩაში). მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ამ თვალსაზრისით. მის ფუნქციაში შედის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვა და დახმარების განწევა ისეთ ოჯახებზე ვისი ეკონომიური მდგომარეობაც მწირია.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ისეთი რეფორმების გატარებაზე, რომელიც გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს, გაუზრდის სკოლის მოსწავლეებს მოტივაციას, უფრო კარგად და მარტივად ისწავლონ საგაკვეთილო პროგრამა. მან უნდა იზრუნოს ისეთი განათლების მიღებაზე, რომელიც მორგებულია შესაბამის დროსა და ეპოქაზე. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ სასწავლო პროცესში დანერგოს სიახლეები და უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს განათლების მიღება. სხვადასხვა პერიოდში სწავლების სხვადასხვა მეთოდები გამოიყენებოდა. მაგალითად შუა

საუკუნეებში სწავლება უმეტესწილად ზეპირობაზე იყო დამყარებული, მთავარი იყო ის რომ ბავშვებს დაეზვიერებინათ ტექსტები და გადაეცათ მასწავლებლებისთვის, არ ექცეოდა ყურადღება იცოდა თუ არა ის ტექსტი გააზრებულად მოსწავლემ რომელიც გაიზვიერა. დღესდღეობით კი სკოლაში უმთავრესი ადგილი უკავია საკითხის გააზრებულად და სწავლას, იმისათვის რომ შემდეგ დამოუკიდებლად გამოიყენოს ის ცოდნა პრაქტიკაში.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ინოვაციები, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს უფრო საინტერესო და ხალისიანი გახადონ სასწავლო პროცესი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განათლების კუთხით ჩატარებული რეფორმები იძლევა იმის დადასტურებას, რომ პიროვნების ჩამოყალიბებაში აუცილებელია არამარტო სიახლეების დანერგვა, არამედ ისეთი გარემოს შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება იმ ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება. საქართველოში ბოლო დროს ძალიან დიდი ცვლილებები განიცადა განთლების სისტემამ, შეიცვალა საგნების სწავლების მიდგომა, გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების მოდელი, რაც შესაბამისად აისახა სწავლის შედეგზე.

სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს სკოლის სწავლება და მონიტორინგი გაუწიოს საგანმანათლებლო პროცესს. მიუხედავად საქართველოში ბოლო პერიოდში საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული წინსვლისა, სწავლის ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური დონე საერთაშორისო მაჩვენებელთან მაინც დაბალია. ადრეულ პერიოდში სკოლებში ტარდებოდა კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდები, რომელიც მოსწავლეს აძლევდა სტიმულს (ან აიძულებდა) ესწავლა იმ მინიმალურ დონეზე მაინც, რომ დაეძლია ბარიერი და გადასულიყო მომდევნო კლასში.

2011 წლიდან სახელმწიფო სკოლაში სწავლების ხარისხს ამოწმებდა საატესტატო გამოცდების ჩატარებით, რაც საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მიუღებელი იყო, ხოლო ზოგისთვის ეს გამოცდა წარმოადგენდა მთავარ ბერკეტს, რადგან მათი აზრით,

მოსწავლეები უფრო უკეთესად სწავლობდნენ. ვინაიდან საატესტატო გამოცდები მხოლოდ შემოიფარგლებოდა დახურული ტიპის ტესტებით მოსწავლე მარტივად ართმევდა თავს ამ გამოცდას და ეს გამოცდა ვერანაირად ვერ შეამონმებდა მისი ცოდნის დონეს. მოსწავლეთა ნაწილისათვის შესაძლოა უცნობიც ყოფილიყო კითხვა, მაგრამ მაინც ართმევდა თავს. მოსწავლეები ორიენტირებული იყვნენ მხოლოდ გამოცდის ჩაბარებაზე და არა ცოდნის მიღებასა და მის პრაქტიკაში გამოყენებაზე. მშობელთა გარკვეული ნაწილი ფიქრობდა, საატესტატო გამოცდები ბავშვისთვის წარმოადგენდა სტრესისა და შიშის წინაპირობას, შესაბამისად მათთვის ეს გამოცდა მიუღებელი იყო. ამ და სხვა მიზეზების გამო 2019 წლის იანვარში პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება საატესტატო გამოცდების გაუქმების შესახებ.

ვინაიდან, ოცდამეერთე საუკუნის მთავარი იარაღი ციფრული ტექნოლოგიაა, ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სკოლებს აღჭურვოს კომპიუტერული ტექნოლოგიებითა თუ ინტერნეტით. რიგ შემთხვევებში არის ისეთი სკოლები, სადაც პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტით სარგებლობა ტერიტორიული მდებარეობის გამო, ამიტომ განათლების სამინისტრომ უნდა გამონახოს ალტერნატიული გზა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. თუმცა ინტერნეტი არ უნდა იყოს ბავშვებისთვის მზა ინფორმაციის ბიბლიოთეკა, რომლისგანაც ერთ ღილაკზე დაჭერით მიიღებენ იმ საჭირო ინფორმაციას, როცა წიგნებში არსებული ინფორმაციის ძებნის პროცესი უფრო მეტად შემეცნებითი და სარგებლიანია. აქედან გამომდინარე უნდა იყოს რიგ საკითხებზე შეზღუდვა, რათა არ მიეჭაჭვონ ბავშვები თანამედროვე ტექნოლოგიას საჭიროების გარდა.

სკოლაში აუცილებელია მონიტორინგი მასწავლებლის მუშაობასა და მის პროფესიულ უნარების შემონმებაზე. იმისათვის, რომ სკოლამ აღზარდოს მოქალაქეები ეფექტური და ხარისხიანი ცოდნით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიონალიზმი. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სკოლაში მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე. არის ისეთი ქვეყნები, სადაც მასწავლებლებს მოტივაციის მიზნით ყოველ მაღალ საფეხურზე ასვლისას დანამატს აძლევენ ხელფასის სახით.

საქართველოშიც მიმდინარეობს მასწავლებლის პროფესიული განვითარება ტრენინგების თუ სერტიფიცირების გზით. ამჟამად საქართველოში მოქმედებს გამოცდები მასწავლებელთა სერტიფიცირებისათვის, რისი ჩაბარების შემდგომ მასწავლებელს ენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ამ სტატუსის მიღების შემდეგ შეუძლია მასწავლებელმა კიდევ აიმაღლოს სტატუსი და გახდეს წამყვანი ან უფრო მეტი მენტორი მასწავლებელი. სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს შესაბამის სტატუსზე ხელფასის დანამატი, რაც ზრდის მასწავლებლის მოტივაციას. აქამდე გამოცდა ტარდებოდა ორ საგანში (პროფესიული უნარები და საგნის გამოცდა), ან შესაძლებელი იყო სერტიფიცირება კრედიტქულების დაგროვებით, თუმცა ცვლილებები შევიდა ამ მხრივაც და კრედიტქულების დაგროვება მომდევნო წლიდან აღარ იქნება შესაძლებელი.

ვინაიდან საქართველოში გაიზარდა მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში - გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა ქალაქის სკოლებში, ამიტომ აუცილებელი გახდა მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა, რაც უმეტესწილად მოსწავლეებს შორის ჩხუბსა და შელაპარაკებების თავიდან აცილებაზე ზრუნვას გულისხმობს. ამ დროისათვის მუშაობს მანდატურის სამსახური, რომლის მოვალეობას წარმოადგენს მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა. თუკი გადავხედავთ უახლოეს წარსულს, უამრავი ბავშვი გამხდარა ბულინგის მსხვერპლი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ტერიტორიას მანდატურის სამსახური მეთვალყურეობს. ხშირ შემთხვევაში ბულინგი ქუჩური გარევის საგანი ხდება, რაც სავალალო შედეგებით სრულდება და რისი მაგალითებიც ხშირია საქართველოს უახლოეს წარსულში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა თუ მანდატურის სამსახურის დანერგვის სისტემა აღკვეთს ბულინს, არამედ მოსწავლის მენტალიტეტისა და ცნობიერების სწორი კუთხით განვითარება, რაშიც სკოლასა და ოჯახს თანაბარი წილი აქვთ. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ შესაბამისი საჯარო უწყებები უნდა იყოს ინფორმირებული ყველა საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ და რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში უნდა იზრუნოს მისი აღმოფხვრის გზებზე. სახელმწიფომ უნდა აღზარდოს ქვეყნისთვის მისაღები, განათლებული და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება.

ამგვარად, სახელმწიფო, სკოლა და მათი ისტორიული წარსული ნათლად გვიჩვენებს თუ რა კავშირშია სახელმწიფო სკოლასთან და რა როლი აკისრია სკოლის შიდა სამზარეულოში. სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლას ყოველმხრივ, აკისრებს მას პასუხისმგებლობას აღუზარდოს თაობა, რომელიც მორგებული იქნება მის მიერ დადგენილ რეგულაციებზე, წლების შემდეგ იქნება ინოვაციური იდეების შემომტანი და რეფორმატორი (საჭიროების შემთხვევაში) შემდეგი შთამომავლობის.

თავი 2. პრობლემის კანონთან შესაბამისობა

2.1 მოქმედი კონსტიტუციიდან შესაბამისი თავებისა და მუხლების დამუშავება, მიმოხილვა, ანალიზი

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს საფუძვლად უდევს შემდეგი საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები: საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“, „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, განათლების განვითარების ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის (განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება) თანახმად, „1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი არჩევის უფლება; 2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; 3. სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დანყებითი და

საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება;

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით“.

აღნიშნული მუხლის თანახმად, საქართველოში ზოგადი განათლება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თუმცა სახელმწიფოში არსებობს კერძო სკოლები, სადაც ზოგადი განათლების მისაღებად სკოლას განსაზღვრული აქვს წლიური გადასახადი, სადაც მოსწავლეთა მიღება შესაძლებელია სურვილისამებრ. ამ სკოლებს აქვთ ეროვნულს სასწავლო გეგმასთან ერთად თავიანთი სამოქმედო გეგმა და შეფასების სისტემა, რომლითაც ხდება შესაბამისად, სწავლება და შეფასება. რადგანაც კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა დიდია, მშობლების ნაწილის მიაჩნია რომ კერძო სკოლაში გადაიხდის თანხას და იქ მათი ბავშვები უკეთესად ისწავლიან და იქნებიან დაცული ყოველგვარი საფრთხისაგან. თუმცა რამდენად შედეგის მომტანი იქნება ეს ნაბიჯი მათთვის წინასწარ განსაზღვრული არაა. რამდენიმე კერძო სკოლას გააყენია გახანგრძლივებული სწავლის მეთოდი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესის შემდეგ სკოლაში რჩებიან შემდეგი დღის სასწავლო მასალის დასამუშავებლად და საღამოს ბრუნდებიან სახლში. სწორედ ესაა ერთ-ერთი პრიორიტეტი იმ მშობლებისთვის, რომ ამჯობინონ კერძო სკოლა, რომლებიც დღის განმავლობაში მუშაობენ და საღამოს კი დაღლილებს არ შეუძლიათ გააკონტროლონ თავიანთი შვილის მზაობა მომდევნო სასწავლო დღისთვის.

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, რომ თითოეულმა ბავშვმა განათლება მიიღოს საჯარო სკოლაში, რადგან ეს მათ არ განასხვავებს სოციალური სტატუსით ერთმანეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სკოლაში სწავლებას აქვს ბევრი დადებითი მხარე (ბავშვებთან უფრო მეტი დრო დამატებითი მუშაობისას, მცირემოსწავლიანი კლასები), ვფიქრობთ, რომ ბავშვებმა უნდა ისწავლონ საჯარო სკოლაში. რადგან საჯარო სკოლა ეყრდნობა სახელმწიფოს, მოსწავლე ეჩვევა

საზოგადოებაში აქტიურ ცხოვრებას, საჯარო სკოლაში უფასო სახელმძღვანელოები, რასაც ვერ ვიტყვით კერძო სკოლაზე, საჯარო სკოლაში მოსწავლეები სარგებლობენ, ისეთი შეღავათებით, როგორცაა უფასო წიგნები, უფასო სამგზავრო ბარათები, ნეტბუკები და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ შეღავათების გამო რჩებიან საჯარო სკოლაში ის მოსწავლეები, რომლების მშობლებსაც არ შეუძლიათ ფინანსურად შეწვდნენ კერძო სკოლის გადასახადებს. სწორედ ასეთმა ეკონომიურმა გარემოებამ გამოიწვია საჯარო და კერძო სკოლებში ბავშვების დახარისხება, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე განათლების დონითაც.

საქართველოში კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ , განერილია ის მუხლები და კანონები, რითაც ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - სკოლა.

მუხლი 1. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი განათლების სფეროში და ამ კანონის მოქმედების სფერო;

1. ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური შეთანხმება, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები;
2. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს. ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფრომის მიუხედავად) სტატუსს. მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს [14,1].

სკოლაში საგაკვეთილო პროცესი წარიმართება ეროვნული სასწავლო გეგმით. საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმა ესაა: „დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შექმნის საშუალებების აღწერას;

სკოლაში ყველა მასწავლებელი ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით (ე.ს.გ), ამავდროულად არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებულია ინდივიდუალურად ერთ მოსწავლეზე.

მუხლი 2. მ) ზოგადი განათლება - განათლება, რომლის მიზანია, საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს;

ნ) ეროვნული მიზნების დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ზოგადი განათლების სისტემის მიზნებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი არის ეროვნული სასწავლო გეგმის და ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავების საფუძველი. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს იღებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად;

ო) ზოგადი განათლების საფეხურები - საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი);

პ) ზოგადი განათლების სისტემა- ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმების, მათი განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, იმ სახელმწიფო

ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი განათლების მიღებას;

ჟ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც;

უ) ინკლუზიური სწავლება - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. [საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. თავი I-ზოგადი დებულებანი]

როგორც აღვნიშნეთ, ეფექტური სწავლებისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი სკოლაში. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ გვეუბნება - „მასწავლებელი ესაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში“. [14,2] ამ კანონის მიხედვით, მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს სერტიფიცირებული. თუმცა არიან ისეთი მოქმედი მასწავლებლები რომლებიც არ არიან სერტიფიცირებულნი, სახელმწიფო მათ სთავაზობს ტრენინგებსა და პროფესიული განვითარებისთვის სხვადასხვა გზებს, რის შედეგადაც შესაძლებელია გახდეს იგი სერტიფიცირებული. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს სიახლეები შეიტანოს კლასში, რითაც საინტერესო გახდება სასწავლო პროცესი, მაგრამ სამწუხაროდ სიახლეები ბევრისთვის მიუღებელია.

ამავე კანონით მასწავლებელს აქვს ქცევის კოდექსი - „მასწავლებლის ქცევის სავალდებულო ნორმების დისციპლინური გადაცდომისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეების, დისციპლინური წარმოების, მათ შორის დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანოს შექმნის წესის ერთობლიობა“ [14,3].

„სკოლაში შესვლის უფლება აქვს ასევე სერტიფიცირებული მასწავლებლის გარდა მასწავლებლობის მაძიებელი სტატუსის მქონე პირს, რომლიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად“ [14,4] „საჯარო სკოლა -საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება“. [საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. თავი I-ზოგადი დებულებანი] სკოლას მართავს სკოლის დირექცია. **სკოლის დირექცია** - სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე/მოადგილეები და ბუღალტერია. მისი ფუნქციაა: 1. სკოლის მართვა, სკოლის წარმოდგენა მესამე პირთან ურთიერთობაში. 2. სკოლის ბიუჯეტის, შინაგანაწესის საშტატო განრიგის შმუშავება სამეურვეო საბჭოსთვის წარსადგენად. 3. პედაგოგიურ საბჭოსთან თანამშრომლობა სასკოლო სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. 3. მასწავლებლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულების დადებისა და შესრულების უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონით „ ზოგადი განათლების შესახებ „ მუხლი 3-ის თანახმად **საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:**

1. მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
 2. მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა;
- [14,5]

ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს: ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან; დ) ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას; [საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ]

აქვე გვინდა წარმოგიდგინოთ ის ზოგადი დებულებები, რომლებიც საგანმანათლებლო სივრცეში გამოიყენება და რომლითაც ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქალაქეები.

მუხლი 6. ზოგადი განათლება

1. სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას. სახელმწიფო დოკუმენტის ნიმუშს და მისი გაცემის ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაჩქარებული გავლა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

3. მოსწავლის ან მისი მშობლის მოთხოვნის შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გასცეს მოსწავლის მიერ საგნების გავლის

დამადასტურებელი ცნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით.

4. დაუშვებელია მოსწავლის დატოვება ზოგადი განათლების სისტემის მიღმა საბაზო საფეხურის მიღწევის დონის დაძლევაამდე.

5. ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აქვთ ზოგადი განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება.

6. ზოგადი განათლების დანყყებით საფეხურზე სწავლის დანყყების მინიმალური ასაკია 6 წელი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიძლება განსაზღვროს გამონაკლისი შემთხვევები.

მუხლი 7. ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის მიერ მის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელება შეუძლებელია სტანდარტული ვაუჩერის მეშვეობით, სახელმწიფო ასეთ მოსწავლეებს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაუჩერით ან/და დამატებითი დაფინანსებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

3. გაზრდილი ვაუჩერის ოდენობა და დამატებითი დაფინანსება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელებას მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის, სპეციალური, კორექციული ან ლინგვისტური უმცირესობის სკოლის ან კლასის

ფარგლებში, თუ არსებობს 3 მოსწავლე დანყებით საფეხურზე, 6 მოსწავლე საბაზო საფეხურზე და 21 მოსწავლე საშუალო საფეხურზე. [საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ]

აღნიშნული მუხლებიდან და კანონებიდან გამომდინარე ცხადია, რომ სკოლა მთლიანად ექვემდებარება სახელმწიფოს. ასევე, მის დაქვემდებარებაშია საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელები, თანამშრომლები და აღსაზრდელები, რომლებიც უნდა აღიზარდონ ქვეყნის პირობების შესაბამისად. ამასთანავე ხარისხიანი განათლების საწინდარია სახელმწიფოს ქვემდგომი ორგანო - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელიც უნდა გამოირჩეოდეს კარგი ორგანიზებულობითა და შედეგზე ორიენტირებული ხედვა-სტრატეგიებით. კანონი და რეფორმა არის თაობათა მართებულად აღზრდის უმიშვნელოვანესი ბერკეტი. უკანასკნელ ხანს, ჩვენი ქვეყნის პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განათლება პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა. შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა დღეს ახალი გამოწვევების წინაშე დგას. განათლებული თაობა კი ხვალისდელი წარმატებული საქარო უწყებების საწინდარია. „სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდე შენთან არი“, - წერდა მეფე არჩილი.

2.2 სახელმწიფოს და სკოლის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში

(კანონთან შესაბამისობა)

„სკოლა ორპირი ხანჯალია; აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მონყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკუღმართობის გზაზედ არის დაყენებული“.

იაკობ გოგებაშვილი

სკოლა და სახელმწიფო - განუზომელია მათი როლი პიროვნების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში. ცხადია, ამ ორ კომპონენტს ემატება კიდევ ორი მთავარი ელემენტი და ესენია: ოჯახი და საზოგადოება. ფაქტობრივად, ეს წარმოადგენს ჯაჭვურ ერთობლიობას და თუკი ერთი რგოლიც ვერ ფუნქციონირებს სრულყოფილად, ეს აისახება მოზარდზე, რომელიც ქვეყნის ხვალისდელი დღეა.

ფსიქოლოგიაში პიროვნების მრავალი განმარტება არსებობს: „პიროვნება წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას, რომელიც აერთიანებს ადამიანისთვის დამახასიათებელ მრავალ ასპექტს - ემოციებს, მოტივაციებს, აზრებს, განცდებსა და ქცევებს. თუმცა პიროვნება, როგორც ცნება, არ უნდა დავიყვანოთ ინდივიდის ფუნქციონირების რომელიმე ასპექტზე“ [20,3]. „პიროვნება ნიშნავს კონკრეტულ ინდივიდს, როგორც საქმიანობის სუბიექტს, მისი ინდივიდუალური თვისებებითა და სოციალური როლების ერთობლიობაში“ [8.1]. აღნიშნულ განმარტებებში იგულისხმება ადამიანის გარეგანი სახე, ის თუ რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიროვნება ესაა ადამიანი, თავისი ქცევებით, ხასიათით, მოწოდებებით, სურვილებით. ეს ყველაფერი განსაზღვრავს მის ადვილს საზოგადოებაში, სახელმწიფოში. პიროვნება იბრძვის საზოგადოებაში საკუთარი თავის დასამკვიდრებლად. მას გააჩნია ღირებულებები, იდეები და ცდილობს თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ საკითხის გადანწყვეტაში.

ადამიანი იბადება ინდივიდად, იზრდება და ვითარდება, ითვისებს სხვადასხვა ქცევისა თუ შეგრძნებების უნარს. ინდივიდი იბადება სახელმწიფოში, რომელ ტერიტორიაზეც ის იმყოფება, იზრდება და სწავლობს იმ წესებს კანონებს, რომელიც დადგენილია მის სახელმწიფოში. დაბადებიდან ის გადის გარკვეულ ეტაპებს იმისათვის რომ იგი ჩამოყალიბდეს პიროვნებად.

„ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში სამი ინსტიტუტი მონაწილეობს. მათ შორის პირველი ადგილი უკავია ოჯახს, როგორც პირადი ფასეულობების ინსტიტუციონალიზაციის ნიმუშს, მეორე ადგილზეა სახელმწიფო, რომელიც საზოგადო ფასეულობათა ინსტიტუციონალიზაციის მაგალითია, ხოლო მესამე - სკოლა,

რომელიც წარმოადგენს საზოგადო და პირადი ინსტიტუტების გაერთიანებას ოპტიმიზაციის პრინციპით ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირად და საზოგადო ინტერესთა ერთობლიობას. განსაზღვრულ შემთხვევებში სკოლა უფრო დიდ როლს ასრულებს პიროვნების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, ვიდრე ოჯახი. ასევე დემოკრატიული პროცესების განვითარებაში, ბავშვებთან ურთიერთობაში სკოლას უფრო საპასუხისმგებლო როლი აკისრია ვიდრე ოჯახს“ [10,1]. სწორედ რომ სკოლამ უნდა უზრუნველყოს პიროვნების ჩამოყალიბება ინდივიდუალური მიდგომებით. სკოლას კი ეხმარება სახელმწიფო და პირიქით. იგი ცალსახად განსაზღვრავს სკოლისთვის რესურსებს, ეხმარება სკოლას ფინანსურად, უდგენს კანონს და აკონტროლებს მას. რაც შეეხება ოჯახს, აქაც დიდი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს, რადგან იგი ზრუნავს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობასა თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სახელმწიფოს მართვა და მდგომარეობა შესაბამისად აისახება პიროვნების ჩამოყალიბებაში.

პიროვნების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესია ის ადგილი, სადაც ის იზრდება და ვითარდება, იძენს სხვადასხვა უნარებს, ამიტომაც მნიშვნელოვანია თუ რომელ სკოლაში ისწავლის, ვინ იქნებიან მისი თანაკლასელები თუ მასწავლებლები. მშობელს აქვს უფლება მისთვის სასურველ სკოლაში მიიყვანოს თავისი შვილი. ზოგიერთი მშობელი სკოლას არჩევს იმის მიხედვით თუ რამდენად უსაფრთხოა მოსწავლე იქ, რამდენად მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან და არის თუ არა მარტივად მისასვლელი გზა სკოლამდე. მეორე ნაწილისთვის სხვა ფაქტორებია განმსაზღვრელი სკოლის ასარჩევად. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ და სკოლამ უნდა შეუქმნას მოსწავლეებს უსაფრთხო გარემო, ეფექტიანი საგაკვეთილო პროგრამა, რომ შეძლოს პიროვნებად ჩამოყალიბება.

„ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე“ [14,11].

პიროვნების ჩამოყალიბებაში უმთავრესია ის თუ რომელი საზოგადოების წევრია. ვინაიდან სკოლაში ის ღროის უმთავრეს ნაწილს ატარებს და სკოლის საზოგადოების წევრია, იგი ითვისებს იმ ქცევებსა და ხასიათს რასაც ხედავს. ასევე უმთავრესია როლი იმ სოციუმისა რომელშიც ის იზრდება - ეს ოჯახია, სადაც უდიდესი როლი მის აღმზრდელს აკისრია. უპირველეს ყოვლისა აღმზრდელი უნდა გამოირჩეოდეს ყველა იმ კარგი თვისებით, რომელსაც გაუზიარებს ბავშვს. ბავშვი ოჯახში იზრდება, ვითარდება და ყალიბდება საზოგადოების წევრად. კარგ ოჯახში ბავშვი იძენს ისეთ თვისებებს, რომელიც დაკავშირებულია სითბოსთან, პატივისცემასთან, სამართლიანობასთან და კეთილგანწყობასთან. ამიტომაც სკოლა, ოჯახი და საზოგადოება წარმოადგენს ერთგვარ წრედს, რომელშიც უწევს ბავშვს პიროვნებად ჩამოყალიბება. შეუძლებელია საუკეთესო ოჯახის მოსწავლემ სრულფასოვანი განათლება მიიღოს ისეთ სკოლაში, სადაც აღმზრდელობითი დონე და აკადემიური მოსწრება სავალალო მდგომარეობაშია, ან კიდე პირიქით საუკეთესო სკოლა ვერ უზრუნველყოფს სოციუმში ცუდად აღზრდილი ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ბავშვის აღზრდა განათლებაში სკოლაც, სოციუმიც და ოჯახიც თანაბრად უნდა მონაწილეობდეს.

სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ საყრდენს სკოლისა და საზოგადოების განვითარებისათვის. საზოგადოება წარმოადგენს იმ სოციუმს, რომელიც ერთ დიდ ოჯახს აერთიანებს. საზოგადოება მიმართავს სახელმწიფოს ამა თუ იმ პრობლემის არსებობისას, ხოლო სახელმწიფო თავის მხრივ ეხმარება საზოგადოებას არსებული პრობლემის გადაჭრაში. სკოლა მთლიანად ექვემდებარება სახელმწიფოს და ხელმძღვანელობს მისი დადგენილი წესებითა და კანონებით. ოჯახი იზიარებს სკოლის წესებს და სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებს. ეს ყველაფერი ერთად წარმოადგენს ჯაჭვს, რომლის გარეშეც ინდივიდი პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდება.

მაშასადამე, სკოლას, სახელმწიფოს და ოჯახს აქვს უდიდესი ზეგავლენა ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ოჯახი არის საწყისი ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც ენდობა და რომლის რეკომენდაციებსაც ითვალისწინებს სამომავლოდ იგი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. პიროვნებისთვის სკოლა არის ის პირველი ნაბიჯი,

რომლითაც იგი უკავშირდება საზოგადოებას, სწავლობს მიღებულ და აკრძალულ ქმედებებს და ცდილობს საკუთარი თავის დამკვიდრება-რეალიზებას. აღნიშნულ პროცესებში სახელმწიფოს ზედამხედველის როლს ასრულებს, რომელსაც არ უნდა გამოეპაროს მინიმალური ხარვეზებიც კი. სკოლა კი თავის მხრივ ცდილობს დადებითი ასახვა პოვოს როგორც სახელმწიფოს ასე ოჯახის ინტერესებზე.

2.3 ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმის ზოგიერთი ასპექტი

(საატესტატო გამოცდების გაუქმება)

საუკუნეების მანძილზე გრძელდება რეფორმები საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ სკოლაში. თუკი ჩვენ შევადარებთ საუკუნეების წინ საკლასო ოთახში გადაღებულ ფოტოს და დღევანდელ „ოცდამეერთე საუკუნის“ საკლასო ოთახში გადაღებულ ფოტოს, ვნახავთ, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა არა თუ სკოლის ინფრასტრუქტურის მხრივ, არამედ გაკვეთილის ჩატარებისა და მიდგომების კუთხითაც. მიუხედავად ამისა, არ შეცვლილა პირობა, რომ გაკვეთილი ტარდება საკლასო ოთახში, მოსწავლეები სხედან მერხებთან, მოსწავლეების ცოდნა ადრე მოწმდებოდა ტესტირებით, ეხლაც ასეა ოღონდ ეს ხდება კომპიუტერთან. განათლების სამინისტროს სათავეში მოსვლისას ყოველი მინისტრის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს რეფორმა. გამოიღო თუ არა შედეგი ამ რეფორმებმა და რა აზრის არიან საზოგადოების წევრები განხორციელებულ რეფორმებზე? სტატისტიკის მიხედვით, განათლების დონემ დაიკლო. საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, დამწყები კლასებისთვის შემოიტანეს ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, რომლებითაც სხვა ქვეყნებში ბალის ასაკის ბავშვებს ასწავლიან. ჩვენი აზრით, ასეთი სწავლების საწყისი ეტაპი განაპირობებს დამამთავრებელი კლასის ბავშვების განათლების დაბალ დონეს. განვიხილოთ ბოლო პერიოდში საქართველოს განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები.

უკანასკნელ ხანს სასკოლო სისტემაში რეფორმები აქტიურად ხორციელდება. 2019 წლის უმნიშვნელოვანესი და ხმაურიანი რეფორმა საატესტატო გამოცდების გაუქმება

გახლდათ. აქ იდეაც და კანონპროექტიც ორ ეტაპად განხორციელდა - ჯერ იყო და გამოცდები მხოლოდ მეთერთმეტე კლასელთათვის გაუქმდა, თუმცა მეთორმეტე კლასელთა აქტიურმა და დაუინებულმა მოთხოვნამაც, შესაბამისი შედეგი ჰპოვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეთორმეტე კლასელთათვის საატესტატო გამოცდების მოხსნას ორჯერ მოჰყვა მიმდინარე წლის გაზაფხულზე საპარლამენტო სხდომის მოწვევა. პირველ მოწვევაზე შესაბამისი შედეგის მიუღწევლობა, ტექნიკური ხარვეზით აიხსნა. ასე თუ ისე, ჩვენ წინაშე არის შედეგი - დამამათავრებელი კლასის მოსწავლეები საატესტატო გამოცდებს არ ჩააბარებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი გახარებულია, ამ უმნიშვნელოვანეს რეფორმას საზოგადოებაში მაინც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. რეაქციის სუბიექტები აღსაზრდელებთან ერთად მშობლები და პედაგოგები გახლავთ. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია რომ ეს განათლების სისტემაში წინგადადგმული ნაბიჯია, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამ ნაბიჯით განათლების დონე გაუარესდება.

საქართველოში საატესტატო გამოცდები ტარდება 2011 წლიდან, თავდაპირველად მეთორმეტე კლასელები გამოცდას 8 საგანში აბარებდნენ, ხოლო 2014 წლიდან გამოცდა დაიყო ორ ეტაპად, ვინაიდან მეთერთმეტე კლასში სრულდება საბუნებისმეტყველო საგნები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია). ამიტომ სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მეთერთმეტე კლასის დასრულებისას ჩაებარებინათ აღნიშნული საგნები, ხოლო მეთორმეტეს დასრულებისას - ქართული ენა ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, უცხო ენა.

ყოველ მომდევნო წელს გამოცდებზე გასული აბიტურიენტების ჩაბარება/ჩაჭრის შედეგზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩაჭრილი აბიტურიენტების რაოდენობა იზრდებოდა გასულ წელთან შედარებით. ეს შედეგები უარყოფითად აისახებოდა მოსწავლეებზე, მშობლებსა და სკოლის საქმიანობაზე. აქტიურად დადგა დღის წესრიგში განათლების ხარისხის შეფასების საკითხიც. მშობლები გამოსავალს პოულობდნენ ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადასვლით, სადაც უკეთესი სწავლა იქნებოდა და ექნებოდა იმის გარანტია, რომ შეძლებდა თავისუფლად დაეძლია ეს გამოცდები. მშობლების ერთი ნაწილი რეპეტიტორობის სისტემას მიმართავდა, მეორე ნაწილი

საჯარო სკოლიდან კერძო სკოლაში გადასვლაში პოულობდა გამოსავალს. ამის მიზეზად მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეიძლება დავასახელოთ. მშობელი ირჩევს იმ სკოლას, სადაც ასწავლის სერტიფიცირებული მასწავლებელი, ასწავლიან თანამედროვე მეთოდებითა და სტანდარტებით, სპორტის თუ მუსიკალური წრეებით უზრუნველყოფილი. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლეთა რაოდენობა საჯარო სკოლის თითოეულ კლასში, რის გამოც მშობელი კერძო სკოლას ანიჭებს უპირატესობას. იქ მოსწავლეთა რაოდენობა კლასში ცოტაა და ეს განაპირობებს მშობლისთვის ერთ მიზეზს, მისი შვილისათვის სკოლის გამოცვლისა. რეპეტიტორობის სისტემას რაც შეეხება, დღეს ეს ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ამ მეთოდს მიმართავენ არამარტო დამამთავრებელი კლასები, არამედ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებიც. სახელმწიფო ზრუნავს ამ პრობლემის მოგვარებაზე. მიუხედავად ამ სისტემის უარყოფითი მხარეებისა, ის შედეგის მომტანიცაა; რეპეტიტორი უფრო გულმოდგინედ ასრულებს თავის სამუშაოს, მეტ დროს უთმობს მოსწავლეს, იყენებს დამატებით სახელმძღვანელოებს და მოსწავლე ტყუილად არ კარგავს დროს, რაც მშობლებისთვის მისასალმებელია. ამ ყველაფერს სკოლა ვერ აძლევს თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად, რადგან საგაკვეთილო გეგმაში განწერილია ყოველ აქტივობაზე შესაბამისი დრო და შესაბამისად კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გამო დრო არ რჩება მასწავლებელს. ბოლო პერიოდში რეპეტიტორობის სისტემამ მიიღო ერთგვარი ბიზნესის სახე, საგაკვეთილო პროცესი წარმართება ფორმალურად და თუკი მოსწავლემ ვერ გაიგო მასალა იგი გადაიხდის ფულს ისევ იმ მასწავლებელთან და კიდევ ერთხელ გაივლის იმავე საკითხს. სხვა მხრივ აღსანიშნავია ის კატეგორია მშობლები, რომლებსაც „აღარ სჭერათ“ განათლების სისტემის და რომლებისთვისაც განათლების მიღება მეორეხარისხოვანი გახდა. ეს გამომწვეულია იმ ფაქტორით, რომ ხშირად განათლებული ადამიანები ვერ პოულობენ მაღალანაზღაურებად სამუშაოს, ხოლო ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმ კატეგორია მშობლებისთვის, რომლებიც ფინანსურ მხარეზე არიან ორიენტირებული.

საატესტატო გამოცდების შემოღების პირველ წლებში სასწავლო პროცესი უფრო აქტიური და მიზანდასახული გახდა, მოსწავლეები უფრო მეტ დროს უთმობდნენ

სწავლას და იცოდნენ რომ წინ გამოცდა ელოდებოდათ და ადრეული კლასებიდანვე სწავლობდნენ კარგად, თუმცა ბოლო პერიოდში მოტივაციის დონემ დაიკლო, რადგან საატესტატო გამოცდებმა მიიღო ფორმალური სახე, შესაბამისად დაიკლო სწავლის დონეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარი პრობლემა საჯარო სკოლა და მისი სტატუსის შენარჩუნებაა. ამ სტატუსის მიღმა კი უნდა იმალებოდეს ხარისხიანი განათლება, რომლის მთავარი ბერკეტიც კვალიფიციური პედაგოგია, რაც მართებულად აღზრდილი მომავალი თაობის სწორუპოვარი წინაპირობაა. სკოლის ხელმძღვანელები დგებიან ძალიან დიდი პრობლემის წინაშე. მათ წინაშე დგება საკითხი კადრების კვალიფიციურობასა და სწავლა/სწავლების მეთოდებზე. აღნიშნული გამოიწვევს მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებას სკოლაში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა სახელმწიფოს მიერ რაიმე გადანწყვეტილება ამ პრობლემის გადასაჭრელად. საქართველოს განათლების მინისტრმა 2019 წლის იანვარში გააუღერა ინფორმაცია, რომ საატესტატო გამოცდები უნდა გაუქმებულიყო ამავე წელს მეთერთმეტე კლასისათვის. ამან გამოიწვია მეთორმეტე კლასელთა გაღიზიანება და საპროტესტო აქციებზე გამოსვლები. აღნიშნულმა აქციებმა „შედეგი გამოიღო“ და სპეციალურ მონაცემთა ბრიფინგზე პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ გამოცდები გაუქმდა როგორც მეთერთმეტე, ასევე მეთორმეტე კლასელებისთვის.

აბიტურიენტების უდიდესი ნაწილი ამ რეფორმას დადებითად შეხვდა, ვინაიდან ეს გამოცდები მათ სტრესსა და ნერვიულობას უმატებდა. მათი აზრით, გამოცდები არ აძლევდა მათ ისეთ ღირებულებას, რაც დაეხმარებოდა მათ ცხოვრების მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად, ეს მათთვის ზეპირობასთან უფრო ასოცირდებოდა, ვიდრე ცოდნის გაღრმავებასთან. ამავდროულად ის მოსწავლეები, რომლებიც ირჩევდნენ კონკრეტულ პროფესიას, საატესტატო გამოცდების შემოტანამდე, მხოლოდ სწავლობდნენ იმ საგნებს, რომლებიც მათი არჩეული პროფესიისთვის გამოადგებოდათ. ამ მხრივ საატესტატო გამოცდებს დადებითი მხარე ჰქონდა, რადგან მოსწავლეს უწევდათ ყველა იმ საგნის სწავლა საშუალო დონეზე მაინც, რომლებიც ზოგადი განათლებისთვის აუცილებელია.

ვინაიდან გამოცდებზე გასვლა სავალდებულო იყო საქართველოს კანონით და მისი შეცვლა მართო პარლამენტს შეეძლო, კანონი განიხილეს პარლამენტში. აღნიშნული კანონის მიღებას და დამტკიცებას პარლამენტში მოყვა გარკვეული გაუგებრობა, (მედიის ცნობით პარლამენტის წევრებს ღილაკები აერიათ) რის გამოც პირველ მოსმენაზე ვერ დააგროვა საკმარისი ხმები და გადაიღო მეორე მოსმენისთვის. მეორე მოსმენა გაიმართა 9 აპრილს და პარლამენტმა გამოცდების გაუქმებას მხარი დაუჭირა. გაუქმდა საატესტატო გამოცდები და შეიცვალა მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიდგომები ამ საკითხთან დაკავშირებით.

საატესტატო გამოცდების გაუქმების შეფასებისთვის ჩავატარეთ კვლევა ხულოს რაიონის სამ სოფელში (სოფელ დიოკნისის, მანიაკეთისა და ბელლეთის საჯარო სკოლებში), სადაც კვლევაში მონაწილეობა მიიღო ცხრა მეთორმეტე და ხუთი მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ; ასევე კვლევაში მონაწილეობდა თხუთმეტი პედაგოგი და ცხრა მშობელი. აღნიშნულ რესპონდენტებს შევთავაზეთ შემდეგი კითხვები:

1. ასაკი

2. სქესი

3. როგორ ფიქრობთ, უნდა გაუქმებულიყო თუ არა საატესტატო გამოცდები?

4. თავის დროზე საატესტატო გამოცდების შემოღებამ შესძინა თუ არა სასწავლო პროცესს მიზანდასახულობა?

5. როგორ აისახება ეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე?

აბიტურიენტების აზრით, საატესტატო გამოცდები უნდა გაუქმებულიყო, ვინაიდან ვინც თავიდანვე მიზანდასახული და სწავლისათვის მოტივირებული იყო, მისთვის გამოცდა არ წარმოადგენდა რაიმე ბარიერს, ხოლო ვინც არ გამოიჩინებდა სწავლით, მისთვის გამოცდა არ იყო მოტივაციის ასამაღლებელი საშუალება. რაც შეეხება სასწავლო პროცესის მიზანდასახულობის შექმნასთან დაკავშირებით, გამოკითხულთაგან 70% ფიქრობს, რომ შესძინა მიზანდასახულობა. თავდაპირველად აბიტურიენტები უფრო

სწავლობდნენ, რომ გამოცდა წარმატებით ჩაებარებინათ, მაგრამ მოგვიანებით მოიკლო სწავლის აკადემიურმა დონემ და გამოცდას ფორმალური სახე მიეცა. აისახება ეს თუ არა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე? - მათი აზრით, საატესტატო გამოცდების გაუქმება არ აისახება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებზე, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ გამოცდების არსებობის შემთხვევაში თუკი აბიტურიენტი ვერ ჩააბარებდა საატესტატო გამოცდას, ის ავტომატურად ვეღარ გადიოდა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე.

მასწავლებელთა და მშობელთა შეხედულებები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს იმ კუთხით, რომ მოსწავლეები საატესტატო გამოცდების ჩაბარების მიზნით უფრო აქტიურად იყვნენ სასწავლო პროცესში ჩართულნი და ცდილობდნენ მომზადებული შესვენოდნენ გამოცდას, რაც გაუქმების შემდგომ შემცირდა. თუმცა გამოკითხულ მასწავლებელთა სამოცდაათი პროცენტი მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმებულიყო გამოცდები, რადგან მოსწავლეები არ უნდა იყვნენ მხოლოდ ორიენტირებული გამოცდის ჩაბარებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა ძალიან დაბალია, შესაბამისად, აბიტურიენტების 80% მიმართავდა რეპეტიტორობის სისტემას, აბიტურიენტები გადადიოდნენ დაბა ხულოს საჯარო სკოლაში, რაც უფრო ამცირებდა სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობას. მშობლების ერთი ნაწილის აზრით, საატესტატო გამოცდების გაუქმება ცუდად არ აისახება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, რადგან მთელი ყურადღება გადატანილი ექნებათ ეროვნული გამოცდების მომზადებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ თუ აბიტურიენტები აღარ მოემზადებიან საატესტატო გამოცდებისთვის, შესაბამისად ერთიან ეროვნულ გამოცდასაც ვერ ჩააბარებენ.

თუ რატომ ფიქრობს თითოეული მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი საატესტატო გამოცდების გაუქმებაზე ამგვარად, ეს უკავშირდება სხვადასხვა მიზეზს. აბიტურიენტებს არ აქვთ გააზრებული გამოცდების არსი, თუ რისთვის უტარდებოდათ საატესტატო გამოცდები. გამოცდა მათთვის წარმოადგენს წინაპირობას, „თუ შენ ჩააბარებ გამოცდას, მე მოგცემ ატესტატს“ (ეს გავს პატარა ბავშვებისათვის კანფეტის მიღებას თუ ის კარგად მოიქცევა). ერთი შეხედვით ეს ასეც არის, მაგრამ სახელმწიფომ

ეს ყოველივე შეიმუშავა იმისთვის, რომ შეამოწმოს მოსწავლის უნარები და შეძენილი ცოდნა არის თუ არა შესაბამისი იმ სტანდარტთან რაც უნდა იცოდეს 12 წლის გასვლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, აბიტურიენტების უმეტესი ნაწილი მაინც გამოცდების ჩაბარებაზეა ორიენტირებული და არ ფიქრობს იმაზე, თუ რა ცოდნა დააგროვა იმ 12 წლის განმავლობაში. გამოცდებმა მიიღო ფორმალური სახე, მოსწავლეები იბეჭირებდნენ ტესტებს და ამით ცდილობდნენ მარტივად გამოსულიყვნენ, ეს ყველაფერი კი არანაირ ცოდნას აღარ ამოწმებდა მოსწავლეებში. გამოცდებზე ამგვარი მიდგომა ბავშვებს უჩნდებათ ადრეული ასაკიდან, ჯერ კიდევ დაწყებით, ან საბაზო საფეხურზე. ვფიქრობთ, ბავშვებმა უნდა იცოდნენ სიტყვა გამოცდის მნიშვნელობა, თუ რა მიზანს ემსახურება იგი და შემდგომ გაიაროს ესა თუ ის გამოცდა. სიტყვა „გამოცდა“ მათთვის არ უნდა ასოცირდებოდეს სტრესთან, წარუმატებლობასთან, თავის შერცხვენასთან და სხვა უარყოფით შედეგებთან. გამოცდის არსი მათთვის საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის ჩვენება და საკუთარი ნაღვანით ტკბობასთან უნდა ასოცირდებოდეს. რა თქმა უნდა, წინასწარ უნდა გააცნონ და დადებითი წარმოდგენა შეუქმნან მოსწავლეებს, რათა უფრო მეტად ფოკუსირდნენ და აჩვენონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი.

მშობლების ის ნაწილი, ვინც ემხრობა გამოცდების გაუქმებას, მორგებულია თანამედროვე სწავლების მეთოდებს და მათთვის მნიშვნელოვანია შვილების განათლების ხარისხი. ამ ყველაფერს განაპირობებს მშობლების ჩართულობა სასკოლო საქმიანობაში. ისინი თვალს ადევნებენ მათი შვილების სწავლას, აქტივობებს სკოლაში, მეგობრებთან ურთიერთობას და სხვ. მეორე ნაწილი, ვინც უარყოფითად შეაფასა ამ გამოცდების გაუქმება, ნაკლებად აქტიურადაა ჩართული საგანმანათლებლო საკითხების გაზიარებაში. რა თქმა უნდა, ისინი ფიქრობენ შვილების განათლებაზე, მაგრამ ურჩევნიათ საატესტატო გამოცდებმა შეამოწმოს მათი შვილების ცოდნის დონე. ამას განაპირობებს მათი დამოკიდებულება გამოცდების სანდოობასთან დაკავშირებით. ისინი ფიქრობენ თუკი მოსწავლემ იცის საგანი მას არ გაუჭირდება არანაირი გამოცდის ჩაბარება.

მასწავლებლები მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე, აანალიზებენ და ერთმანეთს ადარებენ ყოველ წინა და მომდევნო წლის აკადემიურ უნარებს, მოსწავლეების შესაძლებლობებს და ამ ყველაფერის შემდეგ აფასებენ აღნიშნულ ცვლილებებს. მათი აზრი ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. ისინი ყველაზე დიდ დროს ატარებენ მოსწავლეებთან, იციან მათი შესაძლებლობები, უნარები და ის თუ რის გადალახვა შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ეს შეხედულებები სუბიექტურია და არ შეიძლება რომელიმე უარვყოთ ან გავაკრიტიკოთ. ეს ჩვენი საზოგადოებაა, ის სოციუმი, სადაც ვცხოვრობთ და ვისი შეხედულებებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის. სწორედ რომ საზოგადოება წარმოადგენს დამკვეთის როლს სახელმწიფოსთვის, მისი საჭიროებებიდან გამომდინარე მართავს ქვეყანას, ცვლის და ადგენს კანონებს.

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეები იყვნენ განათლებული და წარმოადგენდნენ ჯანსაღ საზოგადოებას. „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ ნათქვამია, რომ მოსწავლეების, მათი მშობლების, მასწავლებლების, დირექციისა თუ გარემომცველი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა განაპირობებს (ზოგადი განათლების) მიღწევის ხარისხსა და წარმატებულობას. ამიტომაც მნიშვნელოვანია არა თუ ერთი რომელიმე მათგანის აქტიურობა არამედ ერთი მთლიანი წრედის შექმნა. მართალია, რომ ბავშვის აღზრდა ოჯახში იწყება, ითვისებს იმ ჩვევებს, რასაც ხედვას უფროსებისგან, მაგრამ სკოლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთთანამშრომლობა. არაერთი კვლევა ადასტურებს იმას, რომ ის ბავშვები უფრო უკეთესად სწავლობენ და უფრო მოტივირებული არიან სწავლის მიმართ ვისი მშობელიც თანამშრომლობს სკოლასთან და მასწავლებელთან, ხოლო ის მშობლები, ვისაც არ აქვთ დრო შვილისთვის (თუნდაც გადატვირთული გრაფიკის გამო), გამოირჩევიან დაბალი აკადემიური მოსწრებით.

სკოლა ადამიანს აძლევს აღზრდას და განათლებას დემოკრატიული პრინციპების დაცვით. აღზრდა გულისხმობს ადამიანის შინაგანი სულიერი მდგომარეობის ჩამოყალიბებას. ადამიანები იბადებიან ინდივიდებად, სწორედ აღზრდამ უნდა ჩამოაყალიბოს ისინი პიროვნებად. „ადამიანებად ჩვენ გვხდით დედა და მამა,

ადამიანურად კი -აღზრდა“ (კარლ ვებერი). ოჯახში აღზრდის დროს მნიშვნელოვანია მშობლებმა გაითვალისწინონ ისეთი აღზრდის პრინციპები როგორცაა, გულუხვი და გულისხმიერი ბავშვის აღზრდა, სიყვარულისა და სიკეთის სწავლა აღსაზრდელზე, უფროსებისა და თანატოლების მიმართ პატივისცემა და სხვა. აღზრდის დროს არაა საკმარისი თეორიული სწავლება, აუცილებელია ის ყველაფერი თავად გააკეთონ, ამასვე მოწმობს უან-უაკ რუსოს გამონათქვამი აღზრდაზე: „ჭეშმარიტი აღზრდა უფრო ვარჯიშით ხდება, ვიდრე წესებით“. აღზრდის დროს მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინება, ყველა ადამიანი განსხვავდება ერთმანეთისაგან, აზრებით, შეხედულებებით, ამიტომაც აღსაზრდელმა ისეთი გზა უნდა გამოიხატოს, რომ გარკვეულ დონეზე შეასწავლოს აღსაზრდელს. „არ არსებობს იმ დონის სულელი ადამიანი, რომელიც კარგმა აღზრდამ უკეთესობისაკენ არ შეცვალოს“ (ბესარიონ ბელინსკი). აღზრდის მნიშვნელობასა და პრინციპებზე ყურადღება გაამახვილა სხვა გამოჩენილმა მეცნიერმა, პედაგოგმა თუ ფილოსოფოსმა, მათ სხვადასხვა შეხედულებები აქვთ აღზრდასთან დაკავშირებით. მაგალითად: იმანუელ კანტი - „აღზრდა არის ხელოვნება , რომლის სრულყოფა მრავალ თაობაში მიმდინარეობს“, პლატონი - „აღზრდა არსებობის დასაწყისიდან იწყება და ცხოვრების ბოლომდე გრძელდება“, ვიქტორ ჰიუგო - „აღზრდა სინდისის საქმეა; განათლება მეცნიერების, მოგვიანებით ადამიანში ჩადებული ეს ორი შემეცნების სახეობა ავსებენ ერთმანეთს“ . ყველა მათგანი აღზრდის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას.

თავი 3. სოციალური კვლევა - სახელმწიფო და სკოლა

3.1 სოციალური კვლევის შედეგები

ქვემოთ მოცემულია კვლევის კითხვარი. კვლევის მიზანია, გავიგოთ საზოგადოების აზრი - თუ რა როლს ასრულებს სახელმწიფო სკოლის საქმიანობაში და პირიქით - სკოლა რა როლს ასრულებს სახელმწიფოს მშენებლობაში.

1) ასაკი

- 18-25
- 26-35
- 36-45
- 46-დან ზემოთ

2) სქესი

- მამრობითი
- მდედრობითი

3) განათლება

- საბაზო საფეხური
- სრული

- უმაღლესი

4) თქვენი აზრით, პირველ რიგში რას უნდა ძღვევდეს სკოლა მოზარდს?

- ხარისხიან განათლებას
- თეორიაზე დამყარებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს
- საშუალო დონის განათლებას
- ბაზას, უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად

5) რა განაპირობებს კერძო სკოლების ზრდას?

- საჯარო სკოლებისადმი უნდობლობა
- ბავშვთა სიმრავლე კლასებში
- მაღალკვალიფიციური კადრების სიმცირე
- ე.წ მიმბაძველობა („მოდურობა“)

6) რომელ სკოლას ანიჭებთ უპირატესობას?

- კერძო
- საჯარო

7) როგორ ფიქრობთ, რომელ განსაკუთრებულ უნარ-ჩვევას (ფენომენს) უყალიბებს კერძო სკოლა მოსწავლეს, რასაც საჯარო სკოლა ვერ უზრუნველყოფს?

.....

8) როგორ გესმით, სახელმწიფოს როლი სასკოლო ცხოვრებასა და მოზარდის აღზრდაში?

- სახელმწიფო არ უნდა იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში
- სახელმწიფო ზრუნავს სკოლაზე და უშუალოდ მონაწილეობს მოზარდის აღზრდაში
- ფაქტობრივად, შესაბამისი კანონების გათვალისწინებით ყოველდღიურად უნდა ერეოდეს სახელმწიფო სასკოლო ცხოვრებაში

9) რა აზრის ხართ საატესტატო გამოცდების გაუქმებაზე?

- კარგია რომ გაუქმდა

- უარყოფითად აისახება სამომავლოდ ცოდნის დონეზე
- საატესტატო გამოცდები ვერ ამონებდა ცოდნის დონეს შესაბამისად

10) როგორ ფიქრობთ, საატესტატო გამოცდებმა თავის დროზე რამდენად შესძინა მიზანდასახულობა სასწავლო პროცესს?

.....

11) რას უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში?

- წესრიგს კანონის კვალიდაკვალ
- სახელმწიფოებრიობის ფუნქციური არსის გაანალიზებას (განსაკუთრებით მაღალ კლასებში)
- ეროვნულ საკითხებს
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილს

12) რას უნდა შეეხოს ამ ეტაპზე უპირველესი რეფორმა განათლების სისტემაში?

- სკოლებში წესრიგის გამკაცრება
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ხელფასების ზრდა
- დრესკოდი პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის
- ეროვნული თემატიკის სწავლების გაღრმავება (სავალდებულო დისციპლინა)
- ყველა

13) რომელია პრიორიტეტი?

- სკოლა
- ოჯახი
- სახელმწიფო
- საზოგადოება

14) ერთობლივი <გვინდა> საგანმანათლებლო სივრცეში ანუ როგორი სკოლა და მომავალი გვინდა, რაც ხვალინდელი ახალი სახელმწიფოს მშენებლობის საწინდარია?

.....

15) პირობა, რომელიც სახელმწიფომ უნდა შეუქმნას მოსწავლეს:

- წიგნებით უზრუნველყოფა
- მონესრიგებული სასკოლო ცხოვრება
- ჯანსაღი სოციალური ფონი
- ყველა

16) თქვენი აზრით, რა არის უმნიშვნელოვანესი რესურსი ხარისხიანი განათლებისთვის?

- კვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი
- ეფექტური სასწავლო გარემო
- სოციალური ფონი
- მშობელთა აქტიური ჩართულობა

17) თქვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, რას მიიჩნევთ თანამედროვეობის მწარე რეალობად განათლების სისტემაში?

.....

18) თქვენი აზრით, რა მოიაზრება რესურსის პრობლემაში

- პედაგოგები
- ფინანსური მხარე

19) დღევანდელი გადასახედიდან, როგორ გესახებათ ხვალინდელი სკოლა?

- გაუმჯობესდება
- არ შეიცვლება
- გაუარესდება


20) თქვენი რეკომენდაციები

.....

კვლევა სოციალური ქსელის მეშვეობით ჩავატარეთ. მასში მონაწილეობა მიიღო 122-მა რესპონდენტმა და ჩვენ წინაშეა შემდეგი:

1.ასაკი


122 ОТВЕТА



დიაგრამა 1

2.სქესი


122 ОТВЕТА



დიაგრამა 2

3.განათლება


122 ОТВЕТА



დიაგრამა 3

4.თქვენი აზრით, პირველ რიგში რას უნდა აძლევდეს სკოლა მოზარდს?


122 ОТВЕТА



დიაგრამა 4

5.რა განაპირობებს კერძო სკოლების ზრდას?


122 ОТВЕТА



დიაგრამა 5

6.რომელ სკოლას ანიჭებთ უპირატესობას?


122 ОТВЕТА



დიაგრამა 6

8. როგორ გესმით, სახელმწიფოს როლი სასკოლო ცხოვრებასა და მოზარდის აღზრდაში?

122 ОТВЕТА




- სახელმწიფო არუნდა იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში;
- სახელმწიფო ზრუნავს სკოლაზე და უშუალოდ მონაწილეობს მოზარდის აღზრდაში;
- ფაქტობრივად, შესაბამისი კანონების გათვალისწინებით ყოველდღიურად უნდა ერეოდეს სახელმწიფო სასკოლო ცხოვრებაში.

დიაგრამა 7

9.. რა აზრის ხართ, საატესტატო გამოცდების გაუქმებაზე?

122 ОТВЕТА




- კარგია რომ გაუქმდა;
- უარყოფითად აისახება სამომავლოდ ცოდნის დონეზე;
- საატესტატო გამოცდები ვერ ამოწმებდა ცოდნის დონეს შესაბამისად;

დიაგრამა 8

11. რას უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში?

122 ОТВЕТА




- წესრიგს კანონის კვალდაკვალ;
- სახელმწიფოებრიობის ფუნქციური არსის გაანალიზებას (განსაკუთრებით მაღალ კლასებში);
- ეროვნულ საკითებს;
- ყველა ზემოთ ჩამოთვლილს

დიაგრამა 9

12.რას უნდა შეეხოს ამ ეტაპზე უპირველესი რეფორმა განათლების სისტემაში?

122 ОТВЕТА




- სკოლებში წესრიგის გამკაცრება;
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ხელფასების ზრდა;
- დრესკოდი პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის;
- ეროვნული თემატიკის სწავლების გაღრმავება (სავალდებულო დისციპლინა)
- ყველა

დიაგრამა 10

13.რომელია პრიორიტეტი?

122 ОТВЕТА




- სკოლა
- ოჯახი
- სახელმწიფო
- საზოგადოება

დიაგრამა 11

15.პირობა, რომელიც სახელმწიფომ უნდა შეუქმნას მოსწავლეს:


122 ответа



დიაგრამა 12

16.თქვენი აზრით, რა არის უმნიშვნელოვანესი რესურსი ხარისხიანი განათლებისთვის?


122 ответа



დიაგრამა 13

18. თქვენი აზრით, რა მოიაზრება რესურსის პრობლემაში?


109 ОТВЕТОВ



დიაგრამა 14

19. დღევანდელი გადასახედიდან, როგორ გესახებათ ხვალინდელი სკოლა?

122 ОТВЕТА



დიაგრამა 15

რესპოდენტების პასუხები ღია კითხვებზე მოცემულია დანართში.

3.2 კვლევის ანალიზი

გამოკითხვაში მონაწილეობდა 122 რესპოდენტი, აქედან 70,5% მდებარეობითი სქესის წარმომადგენელია. ასაკს რაც შეეხება, უმეტესად აქტიურობდა 18-25 წლამდე ასაკის

საზოგადოება. გამოკითხულთა 81.1%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. კითხვაზე: თქვენი აზრით, პირველ რიგში რას უნდა აძლევდეს სკოლა მოზარდს - უმრავლესობა (59,8%) ფიქრობს, რომ ხარისხიანი განათლება არის უპირველესი, ხოლო დანარჩენი ასახელებს სხვადასხვა შედეგს. გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ კერძო სკოლების ზრდას განაპირობებს საჯარო სკოლების უნდობლობა, რაც შეეხება მაღალკვალიფიციური კადრების სიმცირესა და ე. წ მიმბაძველობა („მოდურობა“)-ს ასახელებს თითქმის ერთნაირი რაოდენობა რესპოდენტებისა - 16,4% და 17,2%. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რესპოდენტები საჯარო სკოლების უნდობლობას ასახელებენ, მათი 61,5% საჯარო სკოლას ანიჭებს უპირატესობას. რაც შეეხება სახელმწიფოს როლს სასკოლო ცხოვრებასა და მოზარდის ცხოვრებაში, მათი უმცირესობა 5% ფიქრობს, რომ არ უნდა იყოს ჩართული სახელმწიფო სასკოლო ცხოვრებაში, უმრავლესობის აზრით, კი სახელმწიფო ზრუნავს სკოლაზე და უშუალოდ მონაწილეობს მოზარდის აღზრდაში. საინტერესო აზრთა სხვადასხვაობაა საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით: მათგან 5% ფიქრობს, რომ გამოცდების გაუქმება კარგია, 27.9% აზრით, საატესტატო გამოცდები ვერ ამოწმებდა ცოდნის დონეს შესაბამისად, ხოლო 66,4% აფიქსირებს, რომ უარყოფითად აისახება სამომავლოდ ცოდნის დონეზე. რესპოდენტების 82.8% ფიქრობს, რომ სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს, როგორც წესრიგს კანონის კვალდაკვალ, ეროვნულ საკითხებს, ასევე სახელმწიფოს ფუნქციური არსის გაანალიზებას, ხოლო ამათგან რომელიმე ერთს უჭერს მხარს უმცირესობა. გამოკითხულთა 51.6% აზრით, პრიორიტეტს წარმოადგენს ოჯახი, უმცირესობა 8.2% კი სახელმწიფოს ანიჭებს უპირატესობას. კვლევრიდან ვიგებთ ასევე, რომ რესპოდენტების 77.9% აზრით, სახელმწიფომ მოსწავლეს უნდა შეუქმნას, როგორც წიგნებით უზრუნველყოფის, მოწესრიგებული სასკოლო ცხოვრებისა და ჯანსაღი ცხოვრების პირობები. რაც შეეხება ხარისხიანი განათლების უმნიშვნელოვანეს რესურსს, უმრავლესობის - 48.4% აზრი აღნიშნულზე კვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივია. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნეთ რესპოდენტების აზრი, ოჯახის პრიორიტეტულობასთან

დაკავშირებით, ამ კითხვაზე მშობელთა აქტიურ ჩართულობას მხარს უჭერს გამოკითხულთა 9.8%. და ბოლოს გამოკითხულთა 51.6% მაინც იმედითაა სავსე და ფიქრობს. რომ დღევანდელი გადასახედიდან ხვალინდელი სკოლა გაუმჯობესდება, ხოლო თითქმის თანაბარი წილი აქვს პასუხებს „არ შეიცვლება“ და „გაუმჯობესდება“ – 25.4% და 22.1%.

რაც შეეხება ღია კითხვებზე პასუხებს რესპოდენტების მხრიდან, საინტერესო აზრთა სხვადასხვაობაა. უმრავლესობის აზრით, კერძო სკოლა რაიმე განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს ვერ აძლევს მოსწავლეს, პირიქით - სოციალური სტატუსით განასხვავებს მოსწავლეებს ერთმანეთისგან. საატესტატო გამოცდების მიზანდასახულობასთან დაკავშირებით, ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ვერანაირი მიზანდასახულობა ვერ შესძინა სასწავლო პროცესს საატესტატო გამოცდების შემოღებამ, ხოლო მეორე ნაწილის აზრით მოსწავლეები თავდაპირველად ცოტათი მაინც სწავლობდნენ და ასე თუ ისე სასწავლო პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა. ამ დროისათვის გამომკითხველთა აზრით, განათლების სისტემაში მწარე რეალობად მიაჩნიათ ქულებისთვის ბრძოლა ასევე არაპროფესიონალი კადრები და მოტივაციის სიმცირე მოსწავლეებში, შესაბამისად მათთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სურვილი გახლავთ ის, რომ სკოლას ჰყავდეს კვალიფიციური პედაგოგები და ბავშვებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის პირველ თავში განვიხილეთ სკოლა, მისი წარმოშობა, ისტორიული წარსული, ასევე სახელმწიფოსა და სკოლის ურთიერთკავშირი, თუ რა როლი და ფუნქციები აკისრია თითოეულს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

მეორე თავში დავეკავშირეთ ერთმანეთს სკოლისა და სახელმწიფოს ფუნქციები კანონთან მიმართებაში, ამავედროულად განვიხილეთ უახლოეს პერიოდში განხორციელებული რეფორმები სასკოლო სივრცეში. რეფორმებთან დაკავშირებით ჩავატარეთ სამ სკოლაში სოციალური კვლევა, რომლის მიზანიც იყო აბიტურიენტების, მასწავლებლების და მშობლების აზრის გაგება საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მესამე თავში წარმოვადგინეთ სოციალური კვლევის შედეგები და ანალიზი, რომლებზე დაყრდნობითაც გავიგეთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და სკოლის ურთიერთკავშირი, რა არის მთავარი ამოცანა და მიზანი სკოლის საქმიანობაში სახელმწიფოს მხრიდან და თუ როგორი მომავალი თაობა გვინდა აღზარდოს სახელმწიფომ თავისი უშუალო მონაწილეობით სკოლაში, თითოეული რეფორმით. სახელმწიფო და სკოლა წარმოადგენს ერთ მთლიან წრედს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მომავალი თაობის აღზრდა და განვითარება. კვლევის მიხედვით გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრის ერთ-ერთი გზაა საკადრო ცვლილებები სასკოლო სივრცეში შესაბამისი კვალიფიკაციით:

შესაბამისი რეფორმებისთვის მზაობა;

საგანმანათლებლო სტრუქტურების აქტიური თანამშრომლობა შესაბამის საჯარო უწყებასთან;

მიმდინარე რეფორმების შეფასება-ანალიზი; პრობლემათა გამოკვეთა გადაჭრის გზების ძიება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე;

განათლებაა ის, რაც ერს სწორ გზაზე დააყენებს, ნათელ მომავალ დაუსახავს. შესაბამისად, განათლება განსაზღვრავს სახელმწიფოს ხვალინდელ დღეს და კვალიფიციურ საჯარო მოხელეებს;

ხულოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლის მაგალითზე გამოკვეთეთ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე წელს გატარებული რეფორმების ეფექტურობა;

ჩვენ მიერ ჩატარებულმა სოციალურმა კვლევამ გამოკვეთა პრობლემათა სისტემური ანალიზი და დაგვაფიქრა გადაჭრის გზებზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა არის ერთ-ერთი პრიორიტეტი თავისუფალი, მოაზროვნე და ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებული მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. სახელმწიფო მჭიდრო კავშირშია სკოლასთან და მის გარეშე შეუძლებელია სკოლის არსებობა და განვითარება. სახელმწიფოსთვის, მისი

ეკონომიკური განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია განათლებული და ყოველმხრივ განვითარებული მოქალაქეების აღზრდა, სწორედ რომ სკოლამ უნდა შეძლოს ეს ყოველივე. წარმატებული სკოლა ხვალინდელი წარმატებული საჯარო სტრუქტურების საწინდარია.

დანართი 1

7. როგორ ფიქრობთ, რომელ განსაკუთრებულ უნარ-ჩვევას (ფონომენს) უყალიბებს კერძო სკოლა მოსწავლეს, რასაც საჯარო სკოლა ვერ უზრუნველყოფს?

58 ОТВЕТОВ

Meti pasuxis mgeloba mascavleblebis moscavlis mimart.
ძლიერ აკადემიურ მოსწრებას და შესაბამისად ძლიერ და ძირეულ ცოდნას
თავდაჯერებულობას
Mnjshvneloban arafers
საჯარო სკოლებში მოძველებული მეთოდით ასწავლიან კერძო სკოლა კი მაღალი სწავლების ხარისხით გამოირჩევა
თვითდაჯერებულობა
დისციპლინა, მაღალი პასუხისმგებლობა, მშობლის ქმედების დაფასება, ორგანიზებული, თავდაჯერებული, რწმენა და ბევრი სხვა პლიუსი
საჯარო და კერძო სკოლები თითქმის ერთ საფეხურზე დგას. მე უპირატესობას საჯარო სკოლას ვანიჭებ.
დისციპლინას
უცხო ენის კარგ ცოდნას , ერვევა ბავშვი პასუხისმგებლობას და მეტად დაკვირვებული ხდება
კერძო სკოლებში უფრო მეტად არიან მობილიზებული თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ვიდრე საჯაროში
განსაკუთრებულს ვერაფერს, პირიქით ზარმაცდებიან ბავშვები ...
მოწესრიგებულობას
თითოეულ ბავშვს აქცევენ ყურადღებას რადგან ის იხდის ფულს
საჯარო სკოლა ვფიქრობ კარგია განათლების კუთხით.
ვერაფერს
ვფიქრობ, რომ საჯარო სკოლა სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეს ცოდნით.
ვფიქრობ მიზანდასახულობას და მონდომებას
Meti motxovna codnis mimart.

უცხოენების ათვისება
gansakutrebit arafers
ტრინაზობას
შრომისუნარიანობას
მოთხოვნა სწავლის მიმართ.
კომუნიკაბელურობას
შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა
არ ვფიქრობ რომ კერძო სკოლა რაიმე განსაკუთრებულ უნარ-ჩვევას უყალიბებს მოსწავლეს.
მოსწავლე კერძო სკოლაში ცდილობს თვითონ ყველას ჩარევის გარეშე გაუმკლავდეს არსებულ პრობლემებს და არა ფულით
ჩემი აზრით კერძო და საჯარო სკოლად ერთნაირად აწვითარებს ბავშვს
.....
სწავლისადმი მოთხოვნა ბევრად უფრო მაღალია
უკეთ მომზადებას და სწავლას
საზოგადოებასთან მეტი კომუნიკაციის უნარს
♥♥
